


# **17 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲦᲐᲜ!** "ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ"

# **499 499 30680**

**ლ**ህሐበ



ფასი: 30 თეთრი პარასკევი, 19 აპრილი, 2013 №92 (6093)

# ᲠᲐ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲐᲥᲪᲘᲐᲖᲔ

311 ნაციონალების აქციასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას აგრცელებს



6767 **<b>939**361360: "ဇ୯၁৮ **6**380M63ლ320F ᲔᲠᲝ36ᲣᲚ **ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ amayeamam**.



### 30



SULVEN

**Ղ**ሠタን**ዞ**ሀዓጋ፡

,ՆեՆᲚՆՈᲔՇՈՒ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ

6000000

ემუታሉጋኔን"

ደንመን **Ა**ᲮᲐᲚᲐᲘᲐ: ..356M อวผวงกฮวกตอง URCYRURE **0073UP306 Յ**ՊՈՀՈԾԵՊև"

. as. **2** \_\_



**<b>403080809** "გულაጠგას" **ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜ**ᲒᲝ **Nauru? ᲨᲔᲘᲡᲬᲐ**ᲕᲚᲘᲡ

\_ as. **3** \_\_



**ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲓᲦᲔᲡ** 



ድን3በመ ᲡᲐᲒᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ: "ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ՐՆԵԳԽՈՍ **ᲐᲜᲐ**ᲑᲠᲔᲑᲘ **Ე**ᲒᲐᲞᲝᲒᲠᲘᲕᲐᲓ ፓርዴን

**ᲒᲐᲘᲡ**ᲒᲣᲛᲠᲝᲡ"

**43**3ლn ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ንሣቤ ጋሣመሀ **6034**0 ᲗᲐᲜᲐᲛᲦᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ **ነ**ሐ ፓ6ዊን **ደን**ሖዩጋሁ!

ჅᲐᲥᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გუცცოუდეგუმ

**833331M33** 

37797



# **ՊԵ**ՇՆՍ ՍՈՇԸՊ**Խ**ԵՈԵՐ



ᲜᲐᲗᲘᲐ ᲛᲝᲒᲔᲚᲐᲫᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲦᲐᲜ ᲛᲘᲦᲘᲡ საინფორმაციო სააგენტო "ნიუსპრესისთვის" "ნაციონალუ-რი მოძრაობის" იმ წევრთა დამატებითი სიის შესახებ გახდა

ცნობილი, ვინც 19 აპრილის შემდეგ, საქართველოდან წასასვლე-

ლი ბილეთები უკვე დაჯავშნა. მათ შორისაა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი ხელმძღვანელი თამარ კინწურაშვილი, ყოფილი პარლამენტარი ნიკო-ლოზ ნაყოფია და პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყოფილი უფროსი ნათია მოგელაძე. მათ ბილეთები თბილისი — მიუნჰენის რეისზე დაჯავშნეს.

შეგახსენებთ, რომ გუშინვე, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 20 აპრილს, პრაღის რეისზე თვითმფრინავის ბილეთები დაჯავშნეს თბილისის მერმა გიგი უგულავამ და მისმა მეუღ-

ლემ ლელა კილაძემ, ასევე თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, დავით წერეთელმა, ირაკლი დვალმა, ხვიჩა სანაიამ და მამუკა ახვლედიანმა. ნიუსპრესი



**ՇՆ**ՔՐ ՆԵՆᲚՆՈՆՆ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ 34MB361 გაღაიღო

**ᲨᲡᲡ**ーᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ-**ᲐᲜᲐᲚᲘ**ᲒᲘᲙᲣᲠᲘ **ᲓᲔ**ᲞᲐᲠᲒᲐᲛᲔᲜᲒᲘᲡ **ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚ**Ი ᲔᲣᲗᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ **ᲛᲔᲮᲕᲓᲐ** 

**ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗ** ዔያበንፎ 979**17**PD\&&U7P ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ!



**J**-62t ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ **ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲞᲠᲔ**ᲒᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘ 7336

# **ᲫᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲬᲔ**ᲔᲒᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ!

შორენა კოწოწაშვილი

ეკონომიკის ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი ორხელისუფლებიანობის პირობებში სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნების თანამდებობებზე დატოვებას ძალიან სახიფათო ნაბიჯად მიიჩნევს და მათ ნაბიჯებში გარკვეულ საბოტაჟს ხედავს. ამასთან, პავლიაშვილი შეცდომად უთვლის ახალ მთავრობას მინისტრის მოადგილეების დონეზე ნაციონალების შენარ-

ჰყავს თუ არა მოწინააღმდეგეები ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას ხელისუფლებაში და რა ტენდენცია შეიმჩნევა თვითმმართველობის დონეზე? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ სოლომონ პავლიაშვილთან.

– ბატონო სოლომონ, როგორ შეაფასებდით ახალი ხელისუფლების ექვსთვიან პერიოდს. რა ნაკლოვანებები გამოიკვეთა და რამდენად დამაიმედე-

ბელია პროგნოზი? – ძალიან ძნელია, ექვსი თვის თავზეც ზუსტად შეაფასო და თქვა, რამდენად სწორად ხორციელდება ეკონომიკური რეფორმები და არა მხოლოდ ეკონომიკური, შედეგი უფრო მოგვია-ნებით იგრძნობა. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის პოზიტიური ძვრები, რომლებიც უკვე არის: საზოგადოება ყველა მიმართულებით რაღაც წნეხიდან გათავისუფლდა. ეს შეიმჩნევა არა อิงค์ผู้ต กูงูตธิตอีกงู่ บัญกับหางกับ งคงმედ ყველა დონეზე. გარდა მაგისა, ის აქცენტები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში კეთდება, ძალიან პოზიტიურია. მთავარია, რამდენად სწორად მოხდება მისი რეალიზაცია და რამდენად დავა ეს ქვედა დონეზე. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საშიშროება არის იმისა, რომ ადგილებზე საბოტაჟს ადგილი არ ჰქონდეს. ორხელისუფლებიანობის ქვეშ ვართ და რაღაც ვერ ვატყობ, ეს ხელისუფლება ერთმანეთთან სინქრონიზებულად მოქმედებდეს. შეიძლება ე.წ. კოჰაბიტაციის სურვილი აქვთ, მაგრამ ეკონომიკისთვის ვერ ვხედავ იმ დამახასიათებელი თვისებებს, რომლითაც ძველმა და ახალმა ხელისუფლებამ ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლოს; ერთობლივი გადაწყვეტილებები მიიღონ და მერე ერთად მოახდინონ რეფორმების ან კონკრეტული გადაწყვეტილებების რეალიზაცია. ვფიქრობ, ცენტრალური ხელისუფლება გარკვეულად თვითმმართველობას მოწყვეტილია. თვითმმართველობა სულ სხვა გარემოში მუშაობს. შეიძლება, თვითმმართველობებში არც უნდათ, არ არის მათ ინტერესებში, თვითმმართველობებში ის გაკეთდეს, რაც ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა; მეორეც, თვითმმართველობიდან წამოსული წინადადებები შეიძლება ცენტრალური ხელისუფლებისთვის მისაღები არ არის, ანდა არც იხილავენ. ეს პრობლემა უდავოდ დგას. ეს პრობლემა ხელს უშლის ეკონომიკაში ოპერატიული მენეჯმენტის განხორციელებას, არადა, ამის გაკეთება მნიშვნელოვანია. სტიქიით დაზარალებულებისთვის დარიგდა 100 მლნ ლარი, ვფიქრობ, ამას მაინც უფრო მეტი შედეგი უნდა მოეტანა იმავე პოლიტიკური კუთხით. შეიძლება ვიღაცას მადლობის მიღება არ უნდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იო მეტი კარგი გამი და ჰქონოდა. ამ კუთხით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ იმუშავა და ცენტრალურმა ხელისუფლებამაც ცოტა ყურადღება მოადუნა. ასეთი რამ არ მომხდარა ჩვენს ქვეყანაში, რომ სტიქიით დაზარალებულებს კერძო პირი ფინანსურად დახმარებოდა და დღეს ეს

ნისტრის მოადგილეების დონეზე ისეთი ხალხია, რომლებიც თანამშრომლობენ თვითმმართველობასთან, თანამშრომლობენ კარგი გაგებით, შეიძლება, პირველი პირები ანუ მინისტრები ამის საქმის კურსშიც არ არიან. ამი-



ტომ, რა საბოტაჟს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ჯერ უცნობია. ცალსახად უნდა იყოს გამოკვეთილი: ან ვთანამშრომლობთ, ან მათთან თანამშრომლობას ვნყვეტთ. თან ითანამშრომლო და თან ეს თანამშრომლობა არ გინდოდეს, ამ ფორმით პოზიტიურ შედეგზე ვერ გახ-

– ანუ შეცდომად მიიჩნევთ მინისტრის მოადგილეების დონეზე წინა ხელისუფლების წარმომადგენლების დატოვებას?

- უდავოდ

– ეს, წარმატებული რეფორმების ფონზე, შემაფერხებელი ფაქტორი

– ყველა ვარიანტში. სამინისტროში ძველი თანამშრომელი შეიძლება დატოვო ქვედა დონეზე. მერე რა, რომ მინისტრია პოლიტიკური ფიგურა. მინისტრის მოადგილეც ძალიან მაღალი რანგის ჩინოვნიკია. ამიტომ არ შეიძლება, ასეთ მაღალ თანამდებობაზე ძველი ხელისუფლების წარმომადგენელი დატოვო. შეიძლება, მინისტრი ამ მოადგილეს ეწყობა, მაგრამ ეს მაინც საფრთხილო საკითხია. ქვეყანაში კადრების პრობლემა არ არის. უკეთესი იქნება, მთავრობამ მაღალკვალიფიციური კადრები მოიზიდოს. ნებისმიერი ქვეყნის მაგალითი რომ ავიღოთ, ხელისუფლების ცვლილებების პარალელურად, ძირითადად, სამთავრობო რგოლი იცვლება. ის კი არა, ძველი ხელისუფლების დროს მინისტრის წასვლა, ფაქტობრივად, ნიშნავდა ყველა მოადგილის წასვლას. შეიძლება, ოთხი მოადგილიდან ერთი რჩებოდა. დღეს იგივე ჯანმრთელობის ან ეკონომიკის სამინისტრო რომ ავიღოთ, ისევ ძველი მოადგილეები მუშაობენ. გაიხსენეთ, ნაციონალებმა სოფლის რწმუნებულების დონეზეც არ დატოვეს ძველი კად-რები, ყველა შეიცვალა. ახლა ამათ რატომ უკვირთ ხალხის გათავისუფლება?! შეიძლება დაბალ, სპეციალისტების დონეზე კადრებს არ შეეხო, მაგრამ დეპარტამენტების ხელმძღვანელების ცვლილებები ჩვეულებრივი მოვ-

– შეიძლება, გარკვეულ ეტაპზე ძველი კადრების დატოვებამ თავისი ცითი შედეგები უფრო აშკარა გახადოს?

– ეს უკვე ჩანს და უფრო მეტად გახდება აშკარა. ძალიან კარგად ახსენა ბატონმა ლადო პაპავამ, თავისთავად ეს დამალული დემოკრატია, შე-ნიღბულად იმის თამაში, რომ ვითომ ამათთან თანამშრომლობა გინდა და რომ ატყობ, ეს არ გამოდის, ტაქტიკა უნდა შეცვალო. ჯერ ერთი, შედეგის დაყენება ყველა შემთხვევაში გაძნელ-

დება; მეორეც, ამას თავისი უარყოფითი შედეგი ექნება, თუმცა უკვე აქვს. სხვათა შორის, საზოგადოების თვალშიც ეს უარყოფითად აღიქმება. ის მაინც გვითხრან, რითი არიან ის ადამიანები გამორჩეული, პროფესიონალიზ-

მით თუ გამოცდილებით, რომლებიც ნაციონალებმა მოიყვანეს მაღალ თანამდებობებზე და დღესაც მინისტრის მოადგილეებად რჩებიან?! იცით, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პროფე-სიონალიზმის ნიშნით შერჩევა საერთოდ არ ხდებოდა. ვერ დამისა-ხელებთ, რამდენიმე მინისტრის გამოკლებით, ვერც ერთ მინისტრს, ეკონომიკური ბლოკზე მაქვს საუბარი, რომელიც დიდი ეკონომიკური ცოდნით გამოირჩეოდა. ამიტომ, რატომ უნდა ჩავებღაუჭოთ ამ ხალხს, რატომ გვჭირდება ისინი? თუ ვაჩვენებთ იმას, რომ ამათთან ვითანამშრომლებთ და მერე, არის ახალი ხელისუფლება თავის მართლების რეჟიმში. ორი-სამი კაცი გაათავისუფლეს და მინისტრს უხდება კომენტარის გაკეთება, რატომ გაათავისუფლეს. თუ პოლიტიკური ნება არის, ვფიქრობ, თავად ამ ადამიანებმა უნდა

მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება. მე მგონი, ეს ყველაფერი თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი. – ხელისუფლებას რეფორმები

ახალი კადრებით უნდა დაეწყო. აუცილებლად. ჯერ კიდევ

დროა. ვფიქრობ, უნდა შეელიონ ძველ კადრებს, ვგულისხმობ მოადგილეების

ბატონო სულიკო, საპარლამენტო უმრავლესობა თავს იწონებს შრომის კანონის ცვლილებით, ბიზნესის ხელშეწყობით. პირველი რიგის ღონისძიებებიდან რას მიიჩნევთ აუცილებ-ლად, რა უნდა მოაგვაროს სასწრაფოდ ივანიშვილის მთავრობამ?

– რასაც ხელისუფლება აკეთებს სოფლის მეურნეობაში – დაბალპროცენტიანი კრედიტები რომ შემოდის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ხალხს კარგად წაადგება. ეს ხდება ბანკების მეშვეობით. ეს ფორმაც სწორია, რადგან ბანკებს გამოცდილება აქვთ. მაგრამ კრედიტების გაცემის დროს ფერმერებს უნდა განემარტოთ, რომ დროულად უნდა მოხდეს თანხის დაბრუნება. რაგომღაც გვიყვარს კრედიტების აღება და არ გვიყვარს დაბრუნება; მეორე მხრივ, ვერ ვაბრუნებდით, იმიტომ რომ პროცენტები მაღალი იყო. რაც სოფლის მეურნეობაში ხდება, იგივე სატრაქტორო პარკების შექმნა – ეს დაწყებული იყო და დღესაც გრძელდება. ამას დაე-

მატა კრედიტები. ახლა თუ ამას დაემატა სადაზღვევო პაკეტი, რისკების დაზღვევას პირველ ეტაპზე მაინც თუ სახელმწიფო აიღებს, ეს იქნება ძალიან კარგი. ის, რომ ვიღაცას მოსავალი დაესეტყვა, არის ძალიან ცუდი, მაგრამ იმის ანაზღაურებას ფიზიკური პირი არ უნდა ახდენდეს, ვინც არ უნდა იყოს ის და რა კეთილი ნებაც არ უნდა ჰქონდეს. ეს შეიძლება გლეხისთვის გაუგებარია, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ინსტიტუციურად ეს არის ცუდი.
– "ქართული ოცნება" წინასა-

არჩევნოდ აქტიურად საუბრობდა ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის აუცილებლობაზე. რატომ იგვიანებს ამ სამსახურის შექმნა იმ ფონზე, როცა მონოპოლიების საწინააღმდეგო განცხადებები ისმის?

– არ ვიცი, არა მარტო ანტიმონოპოლიური, არამედ ის ინსტიტუტებიც, რომლებიც გაუქმდა. უნდა ვთქვათ, რომ 2003 წლამდე ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფო მართვაში მონაწილეობდნენ, გაცილებით წინ ვიყავით ინსტიტუციურად, ვიდრე ახლა ვართ. ეგ მეორე საკითხია, მუშაობ-და თუ არ მუშაობდა. თუ არ მუშაობდა, ეს იყო იმ პოლიტიკური ხელისუფლების ნების დამსახურება. ანტიმონოპოლიური სამსახური იყო, მაგრამ იმ პერიოდში ვერავინ გაბედავდა, დაეჯარიმებინა "მაგთი" ან "ჯეოსელი" ახლაც ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა უნდა იყოს პოლიტიკური ნების

– თითქოს ნება იყო. რამე შეიც-

– მე ვფიქრობ, ნება ახლაც არის. ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნაზე მიმდინარეობს ინტენსიური მუ-ขึงหอง დง ปึงლางชี อิธาชีวูชีวูตีหวงชีก การชา ბა ამ სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხი. ეს უნდა იყოს დამოუკიდებელი სამსახური, ყოველგვარი პოლიტიკური და პარტიული გავლენისგან თავისუფალი. უფრო მეტსაც გეტყვით, ბიზნესსექტორისგან თავისუფალიც კი. ყველასგან თავისუფალი უნდა იყოს. ნურავინ ფიქრობს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური არ უნდა იყოს დამსჯელი ორგანო. ანტიმონოპოლიური სამსახური, პირველ რიგში, უნდა იყოს პრევენციული ორგანო. ჩვენ ამ სამსახურის შექმნით მაკროეკონომიკური გარემო უფრო მეტად არ უნდა დავაზიანოთ. დღეს ისეთი ვითარებაა, რომ კონკურენცია საერთოდ არ არის. თქვენ რა, ფიქრობთ, რომ ფარმაციის სფე-როში "ჯპს" "ავერსის" კონკურენტია?! ან "პსპ" არის "ავერსის" კონკურენტი? ეს არის ფორმალურად. სად შეიმჩნევა მაგათი კონკურენცია. რომელიმემ რამეში ოპონირება გაუწია? თუ ცდილობენ, რომ ერთმა ფასი დასწია, მეორემაც დასწიოს. ისინი კონკურენტები კი არა, პარტნიორები არიან. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ, რაშიც ცუდს ვერაფერს ვხედავ, ისინი გადაიქცნენ ფარულ პარტნიორებად. ეს არის ყველაზე ცუდი. ასევეა იგივე ნავთობის სფეროში. უფრო მეტსაც გეტყვით, ფარულმა პარ-ტნიორობამ სხვა სფეროებშიც გადაინაცვლა, მათ შორის საბანკო სფეროში. თანაპარტნიორობის პრინციპით ცხოვრობენ მშვიდად, რაც საბოლოოდ ფასებზე მოქმედებს. იმპორტიც, ფაქტობრივად, გადანაწილებული აქვთ. ეს კარგად გამოჩნდა სადაზღვევო კომპანიებში. გახსოვთ, სადაზღვევო კომპანიებმა სახელმწიფოსგან გრანტი რომ მოიგეს, 300 მლნ-მდე იყო საუბარი დაზღვევის განხორციელებისთვის. სადაზღვევო კომპანიებმა რეგიონებიც კი გადაინაწილეს. როგორ შეიძლება, ერთმა მოიგოს იმერეთის რეგიონი, მეორემ – კახეთი. იმდენად შეთანხმებული იყვნენ ყველა დონეზე, რომ რეგიონების გადანაწილებაც კი მოხდა. ამიტომ ვამბობ, ეს არ არის კონკურენტული გარემო.

– დანაშაულებრივი პოლიტიკა გატარდა სადაზღვევო სფეროში და, საერთოდ, დანაშაულებრივი ეკონომიკური გარემო იყო ქვეყანაში?

– მე კვალიფიკაციას ვერ მივცემ. მონოპოლიური გარემო თავისთავად ცუდი კი არ არის, შენ თუ ამას მოიპოვებ იმ ნაბიჯებით, რომელიც ეკონომიკას არ ავნებს. მონოპოლიური მდგომარეობის გამოყენებაა ცუდი. დღეს, როცა ამბობენ, რომ ჩვენ მონოპოლიური გარემოთი 20% გვიკავია, შენ თუ ალიანსში ხარ სხვასთან, ეს ალიანსი არის ფარული და, ფაქტობრივად, 60-65% ადიხართ შენ და სხვა კომპანია როგორც იმპორტზე, ასევე რეალიზაციაზე, ამავდროულად, გაგაჩნია ქარხანა და შენი სამედიცინო დანესეპულებები, ეს ნათელი სურათია მონოპოლიისა. თითქოს ფასები დასწიეს, მაგრამ, ხვალ რომ ანტიმონოპოლიური სამსახური შეიქმნება, არავის ეგონოს, რომ ფასები ისევ დაიწევა. ამას უნდა ძალიან სიფრთხილით მიდგომა, თანაც უნდა იცოდეთ, რომ ბევრი პოლიტიკური ძალა ერთიანდება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის წინააღმდეგ.
— მათ შორის სახელისუფლებო

პარტიებიც?

– მათ შორის ბიზნესსექტორის წარმომადგენლებიც, მაგრამ იმათ უკან ვინ იდგება, უმრავლესობა თუ უმცირესობა, ეს მე არ ვიცი.

### ᲓᲐᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ: "ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲨᲘᲨᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲝᲡ"

გავრცელებული ინფორმაციით დათა ახალაია სამშობლოში გუშინ უნდა დაბრუნებულიყო. მასთან ერთად საქართველოში მეგიზ ქარდავა და სოსო თოფურიძეც უნდა ჩამოსულიყვნენ. მათ დასახვედრად სარფის საბაჟო პუნქტზე 17 აპრილის საღამოს სამართალდამცავები განლაგდნენ. მათთან ერთად პო-ზიციები დაიკავეს მედიის წარმომადგენლებმაც. პოლიციელებიც და ჟურნალისტებიც სტუმრებს დილის 5 საათამდე ელოდნენ. მერე კი დაიშალნენ.

2821 BOE ცხადება უძღოდა. ეს განცხადება 15 აპრილს ახალაიამ ფეისბუქით გაავრცელა. განცხადებაში ის ვანო მერაბიშვილს ღიად დაუპირისპირდა. ვანომ დათას მეორე დღეს უპასუხა. მე-რაბიშვილი მიიჩნევდა, რომ ახალაიამ ხელისუფლების ზეწოლას ვერ გაუძ-

მერაბიშვილის ენამახვილობას გუშინ დათა ახალაია გამოეხმაურა. გან-

ცხადება მისმა ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა გააკეთა. "ახა-ლი თაობა" ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– ჩემდამი მონიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ა.წ. 16 აპრილს ფეისბუქით გავრცელებული განცხადება, რომელშიც ბატონი დავით ახალაია ბრალს სდებს ივანე მერაბიშვილს

ქართველოს სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელე-ბულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივ ქმედებებში, ნამდვილად ეკუთვნის ბატონ დავით ახალაიას.

აქვე, ვალდებული ვარ, კატეგორიულად უარვყო და გავაქარწყლო ბატონი ივანე მერაბიშვილის მიერ საზოგადოებისთვის თავსმოხვეული განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს



დავით ახალაია მოექცა ზეწოლის ქვეშ, ვერ გაუძლო წნეხს და ამის გამო უყენებს მას ბრალდებებს.

ბატონი დავით ახალაია მიუთითებს და მოუწოდებს ივანე მერაბიშვილს, "მშიშრები" და ზეგავლენის ქვეშ მოქცევისაკენ მიდრეკილი პირები, მოიკითხოს როგორც მის ყოფილ მოადგილეებში, ასევე ასთან თანაშაულ

რივად დაკავშირებულ სხვა პირებში.. ჩემი მხრივ კი, ჩემდამი მონიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად მივმართავ დაინტერესებულ პირებს, რომ ბატონ დავით ახალაიასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, ამიერიდან დააზუსტოთ ჩემთან, მისი ინტერესების დამცველ ადვოკატთან. – ნათქვამია ადვოკატის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებში.

abaen mamba

გაკეთდა, ეს სათანადოდ უნდა ყოფი-

ლიყო საზოგადოებამდე მიტანილი, თა-

ნაც, ცენტრალურ ხელისუფლებაში მი-

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან **დამფუ**ძ**ნებლები**: ნინო ბაკურაქე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი **მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები ოთარ წინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55 გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი **დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თპილისი, ჩუპინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

33റ്-പ്രാൻ്റ്റ്റ്റ് www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



#### **ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ՆԺԱՈՆՆ ՆԵՐՈՑՆՆՊՇՊ**ԻՆ

შსს ნაციონალების აქციასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს

შორენა მარსაგიშვილი

როგორც იქნა დადგა მთელი ერისთვის სანატრელი 19 აპრილი. თებერვალში დაანონსებული აქციისთვის მთელი ერი ვემზადებოდით. ნაციონალები დაგვპირდნენ რომ საქართველოს ისტორიაში ეს აქცია ყველაზე მასშტაბური იქნებაო. ყველაზე მასშტაბური აქცია მეოცნებეებმა შარშან 29 სექტემბერს გამართეს. საეჭვოა ნაციონალებმა ეს რეკორდი მოხსნან. განსაკუთრებით ახლა როცა პარტიაში განხეთქილება აქვთ.

ოფიციალური ვერსიით მაციონალების აქცია საქართველოს საგარეო კურსს უკავშირდება. მათი არჩევანი ევროპა ყოფილა თურმე. არაოფიციალური ვერსიით კი ნაციონალები ამ დღეს საკუთარ ძალებს მოსინჯავენ. უკვე მათავ აინტერესებთ რამდენი ადამიანი უჭერს მხარს.

აქციის წინ ნაციონალებმა საკმაოდ ხმაურიანი განცხადებები გააკეთეს. ვანო მერაბიშვილი დაგვპირდა რომ ამ დღის შემდეგ ქვეყანაში ვითარება რადიკალურად შეიცვლება. ამ აქციასთან დაკავშირებით უამრავი ჭორი ვრცელდებოდა. ამბობდნენ რომ ნაციონალები პროვოკაციის მოწყობას გეგმავენ. ამის შესახებ

განცხადება შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც ისაუბრა. ნაციონალების ზონდერბრიგადირად შერაცხული გია უდესიანის სახელით გავრცელებულმა განცხადებამ გუშინ დიდი ხმაური გამოიწვია.

საინფორმაციო სააგენტო "ნიუსპრესის" ელექტრონულ მისამართზე, გუშინ, დილის 10:06 საათზე გიორგი უდესიანის სახელით, შევიდა განცხადება, სადაც განცხადების ავტორი ხვალ, "ნაციონალური მოძრაობის" აქციაზე დაგეგმილი ტერაქტის შესახებ საუბრობდა.

- მინდა განვაცხადო, რომ დათა ახალაიასაგან და ვანო მერაბიშვილისაგან დავალებული მაქვს საქართველოში კრიმინოგენური ფონის აწევის ილუზიის შექმნის ორგანიზება და ასევე თბილიში 19 აპრილის ჩანიშნული მიტინგის პროვოკაცია – <u>ტე</u>რაქტი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ! ამ ყველაფრის უშუალო შემსრულებლები კუდის და შსს-ს თანამშრომლები არიან. კატეგორიულად ვახადებ,რომ მე ჩემი მხრიდან ვემიჯნები აღნიშნულ ჩანაფიქრს და მხად ვარ დავასახელო ტერაქტის ყველა შემკვეთი და მონაწილე პირი. მე ჩემ მხრივ ვეთიშები ნაციონალური მოძრაობას და ვაცხადებ რომ თუ განხორციელდა რაიმე პროვოკაცია,პირადათ მე არანაირი კავშირი ამასთან არ მაქვს,ასევე მინდა გავაფრთხილო საქართველოს მოსახლეობა, რომ იგივე ჯგუფი ამზადებს ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციასაც, მზად ვარ ყველა-ფერს მოვფინო ნათელი და ვითანამშრომლო საქართველოს ხელისუფლებასთან, – ნათქვამია გიორგი უდესიანის სახელით გუშინ დილით გავრცელებულ განცხადებაში.

ამ განცხადებას ბუნებრივია დიდი წიოკი მოჰყვა. ხმაური და ვიშ-ვიში მას შემდეგ შეწყდა რაც გია უდესიანის დამ საპასუხო განცხადება გააკეთა. ნატო უდესიანის თქმით, ეს განცხადება მის ძმას არ ეკუთვნის. ნატი უდესიანმავე გამოაქვეყნა მისი ძმის განცხადება.

– ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს მიერ დღეს ვითომ გიორგი უდესიანის მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აღნიშნული განცხადება მე არ მეკუთვნის. ქართული პრესით არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არასოდეს არ ვყოფილვარ რომელიმე პარტიის წევრი. არასოდეს არ ვყოფილვარ ე.წ. რომელიმე "დაჯგუფების" წევრი და აღნიშნულ განცხადებაში მოყვანილ გამონათქვამებთან არასდროს შეხება არ მქონია. ამჟამად ვიმყოფები ევროპაში, დაკავებული ვარ ბიზნეს-საქმიანობით და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან შეხება არ მაქვს. აღნიშნული განცხადება კიდევ ერთხელ ემსახურება ჩემს დისკრედიტაციას, თუმცა დარწმუნებული ვარ, მსგავსი ბინძური მეთოდებით მიზანს ვერავინ მიაღწევს, – ნათქვამია განცხადებაში. ტერაქტი დღეს ნამდვილად არ არის მოსალოდნელი. პროვოკაციებს კი ალბათ თავიდან ვერ ავიცილებთ. ვიღაცეებს ძალიან უნდა ცემა-ტყეპის მოწყობა. მიმდინარე წლის **8** თებერვლსაც მოხდა პოლიტიკური დაპირისპირება. ის ინციდენტი მეოცნებეებისთვის კარგი მაგალითი უნდა იყოს. მშობლიური შსს აქციის მონაწილეების და წესრიგის დასაცავად მზად არის.

დღეს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გაავრცელა. რომლესაც "ახალი თაობა" უცვლელად გთავაზობთ:

— შეკრების და მანიფესტაციის უფლება წარმოადგენს სა-ქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დაცულ უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით "ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ"

საქართველოს ხელისუფლება იცავს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას. სწორედ ამიტომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მობილიზებულია 19 აპრილს დაგეგმილი ოპოზიციის აქციის მიმდინარეობისას წესრიგისა და აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დასაცავად. ამ მიზნით, 17 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, შედგა მოსამზადებელი შეხვედოა შსს-ს წარმომადგენლებს, ქ. თბილისის მერიის უფლებამოსილ პირსა და აქციის ორგანიზატორებს შორის.

`გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც დეტალურად გაწერს შეკრების და მანიფესტაციის წესებს, პასუხისმგებლობას მანიფესტაციის კანონის ფარგლებში წარ მართვაზე უპირველესად აკისრებს აქციის მონაწილეებს, ორგანიზატორებს და ადგილობრივი თვითმშართველობის ორგანოებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ 19 აპრილს მანიფესტანტთა უსაფრთხოება กymb დაცული. მოვუწოდებთ ქ. თბილისის მერიასა და თავად აქციის ორგანიზატორებს, იმოქმედონ კანონის ფარგლებში და, თავის მხრივ, უზრუნველყონ მანიფესტაციის მშვიდობიანად წარმართვა.

აქვე, გაგაცნობთ, აქციის მონაწილეების, ორგანიზატორების, მერიისა და ძალოვანი სტრუქტურების კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

კანონის თანახმად აქციის მონაწილეებს ეკრძალებათ: შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ მუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს;

ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა;

ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციებით ან/და საგნებით გადაკეტვა;

განზრას დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებისათვის;

შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება;

ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარალის ქონა; ისეთი საგნის ან ნივთიერების ქონა, რომელიც გამოიყენება

ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით;

ცრეშლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/და მომწამვლელი ნივთიერებების ქონა; ალკოჰოლური სასმელების ქონა.



შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორები ვალდებული არიან:

დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შეასრულონ გაფრთხილებით ნაკისრი ვალდებულებანი; კანონის მოთხოვნათა დარღვევისას, მის აღმოსაფხვრელად მოუწოდონ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს და მიმართოს ყველა გონივრულ ქმედებას;

ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობები:

შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის აუცილებლობის შემთხვევაში მერია ვალდებულია უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება და ტრანსპორტის სავალი ალტერნატიული მარშრუტის განსაზღვრა;

აქციის და მანიფესტაციის კანონით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში ვალდებულია მოუწოდოს აქციის ორგანიზატორებს დარღვევის აღმოფხვრისკენ;

ვალდებულია დაიცვას ბალანსი შეკრების ან მანიფესტაციის თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ, სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს შეკრება ან მანიფესტაცია. აღნიშნულ პირებს ხელი არ უნდა შეეშალოთ, რათა განაგრძონ თავიანთი

შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის შემთხვევაში, მერია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ტრან-บอกคลาย บรรงตุก ธิงธิกตุกย ลงชิบธิกย งธี/อง ลู้คั้งธิบอกคลูกย อิกปครกბის აღდგენის შესახებ, თუ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შესაძლებელია.

სამართალდამცავთა უფლება-მოვალეობები:

პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციების და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხო-

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებული არიან, ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს;

თუ ორგანიზატორმა არ მოუწოდა შეკრებისა და მანიფესტაციების მონაწილებს და არ მიმართა ყველა გონივრულ ქმედებას, ან შეასრულა, მაგრამ ვერ აღმოფხვრა დარღვევა გონივრულ ვადაში, სამართალდამცავი ორგანოები უფლებამოსილი არიან დარღვევის აღმოსაფხვრელად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გასახსნელად ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღსადგენად მიმართონ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს, – ნათქვაშია შსს-ს განცხადებაში.

იმედი ვიქონიოთ რომ დღევანდელი აქცია მშვიდობიანად ჩაივლის.

#### **ᲓᲔᲞᲣᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡ "ᲒᲣᲚᲐᲝᲑᲐᲡ"** Ს**Ა**ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜ**&**Ო **ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ**

### შორენა მარსაგიშვილი

2 დღის წინ საქართველოში დიდი სკანდალი აგორდა. დეპუტატმა ირინა იმერლიშვილმა წარმოადგინა შოკისმომგვრელი მასალები. საიდანაც გავარკვიეთ რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურისთვის გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა. არადა ცოტა ხნის წინ ნაციონალებმა და მიხეილ სააკაშვილმა ლამის იტირეს ოცნება სახელმწიფო დაცვის სამსახურის დაფინანსებას ამცირებსო.

სახელმწიფო დაცვის სამსახურის მიერ ფულის გაურკვეველი მიმარ თულებით ხარჯვას პროკურატურა შეისწავლის. ამ ხარჯებს სხვათა შორის აქამდე გრიფით "საიდუმლო" ედო. ახლა კი ყველამ ყველაფერი ვიცით. ახ-ლო მომავალში შესაძლოა კიდევ ბევრი გავიგოთ. საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან და-კავშირებით შესაძლოა სპეციალური საგამოძიებო კომისია შეიქმნას.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ცაგარეიშვილმა განაც-ხადა, როგორც წინა, ისე ახლანდელი მოწვევის პარლამენტში "ნაციონალუ-რი მოძრაობიდან" ძალიან ბევრი დეპუტატი დანაშაულებრივ კავშირებშია

ჩართული.

— შესაძლებელია საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას, რომ ჩვენს კოლეგებს ვკითხოთ აქ პარლამენტში, რატომ იღებდნენ ისინი სამკაულებს, რატომ დადი-



ოდნენ დუბაიში, – აღნიშნა ცაგარეიშ-

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის თქმით კი, ვინაიდან ამ სიაში ხშირად ოპოზიციონერი დეპუტატები ფიგურირებენ, კომისიაში მათი ყოფნა გარანტი იქნება, რომ გაიფანტება ეჭვები თითქოს ეს ანგარიშსწორების კომისიაა.

– თავად ნახოს ეს ციფრები, თავად ნახონ ეს ჩეკები, სადაც მათი გვარებია მონიშნული და განმარტებებიც თავად გააკეთონ. ეს უფრო მეტ დამა-ჯერებლობას მისცემს იმ დასკვნას, რო-მელიც ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება დაიდოს, — მიაჩნია საგანელიძეს.

ირინა იმერლიშვილის წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სა-

ქართველოს პრეზიდენტმა და მისმა სტუმრებმა – პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ, აჭარის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ და პრეზიდენტის მრჩეველმა რაფაელ გლუკსმანმა ტაილანდის კურორტ "ფხუკეთში" დასვენებისთვის ათი ათასობით ლარი დახარჯეს. მათ ორი ღამე გაატარეს บริเลขาลี้ตัด,,อิงธีวิพูตก"-ฮีก. วิตัฏชิกตุฏธีลูกป้า თვის სასტუმროს ხარჯებში 2012 წლის 22-დან 24 მარტამდე გადახდილია 60 542 ლარი. დავით ბაქრაძისთვის სასტუმროს მომსახურება ბიუჯეტს 12 489 ლარი დაუჯდა. ვარშალომიძისა და გლუკსმანის ორდღიანი დასვენება "მანპური"-ში კი, ჯამში 11 967 ლარი.

114 887 ლარი დაჯდა 2010 წლის 3-9 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილის და თბილისის მერის გიგი უგულავას გამაჯანსაღებელ ავსტრიულ ცენტრშისტუმრობა. დოკუმენტების მიხედვით, სააკაშვილმა და უგულავამ ცენტრის სასტუმროში, 20 ათას ლარზე მეგი დახარჯეს, ტრანსპორტირებაში კი 27 730 ლარი გადაიხადეს. ავსტრიაში ყოფნის დროს მათ "აუდი პანზერის", "მერსედეს ვიანოს" და "პორშე კაიენის" მარკის ავტომობილები იქირავეს.

ბიუჯეტის თანხებით დაისვენა მიხეილ სააკაშვილმა სანატორიუმ პას ანრი შენოში" 2011 წლის 12-17 თებერვალსაც. მასთან ერთად იმყოფებოდნენ პარლამენტარი გიორგი ბარამიძე, რომელიც მაშინ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იყო, ასევე, ტელეკომპანია "იმედის" ყოფილი გენერალური დირექტორი გიორგი არველაძე.

დოკუმენტაციის მიხედვით, ჯამსააკაშვილის, ბარამიძის და არველაძის "მერანოში" 5-დღიან ვიზიტზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 37 492 ევ-რო დაიხარჯა. მხოლოდ სასტუმროში მხოლოდ ოთახების დაქირავებაზე 12 286 ევრო დაიხარჯა, აქედან, ბიუჯეტს პრეზიდენტისთვის სანატორიუმში ოთახის დაქირავება 4 991 ევრო დაუჯდა, ბარამიძესთვის – 4921 ევრო, ხოლო არველაძესთვის – 2 374 ევრო.

სანატორიუმში ყოფნის დროს პრეზიდენტმა სამედიცინო მომსახურებაში 3000 ევრო გადაიხადა, ბარამიძემ 251 ევრო. დოკუმენტების მიხედვით, პრეზიდენტის ტრანსპორტირება, ჯამში, 18 900 ევრო დაჯდა. მიხეილ სააკაშვილმა იტალიაში თხილამურებზე დასადგომი სპეციალური ფეხსაცმელი 256 ევროდ შეიძინა, სათვალე 45 ევროდ, ველოსიპედში კი 99 ევრო გადაიხადა

26 793 ლარია დახარჯული 2012 წელს პრეზიდენტის ოჯახის წევრებისთვის ავიაბილეთების შეძენასა და ქართული ჩოხისთვის. მარტში, დეკემბერსა და იანვარში სანდრა რულოვსისთვის ავიაბილეთების შეძენაზე 9 960.4 ლარია დახარჯული. პრეზიდენტის მეუღლე 2012 წელს 20 ივლისიდან – 4 აგვისტომდე აშშ-ში რამდენიმე შტატში იმყოფებოდა. ამ პერიოდში მან სახელმწიფო ბიუჯეტიდან 15 298.18 აშშ დოლარი სასტუმროს ხარჯებში გადაიხადა. შიდა მგზავრობის, კვების და სხვა ხარჯებმა კი 4 116.56 აშშ დოლარი შეადგინა.

გასულ წელს, 14 942.7 ლარის ავიაბილეთების შესყიდული პრეზიდენტის უფროსი შვილის ედუარდ სააკაშვილისთვისაც.

1 190 ლარი დაიხარჯა პრეზიდენტის უმცროსი შვილის ნოკოლოზ บรรงชาลกლกบตาลกบ หิกาชกบ ตร อิกบัก ราชบาსუარების შესაძენად. დოკუმენტების მიხედვით, თანხა მაღაზია "სამოსელი პირველისთვის" 2012 წლის 12 აპრილს არის გადახდილი. ნიკოლოზ სააკაშვილისთვის ხელნაკეთი სუვენირის თოჯინის დამზადება 700 ლარი დაჯდა.

დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პრეზიდენტმა შვილების სწავლის ფულიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან გადაიხადა. ედუარდ სააკაშვილის სწავლისთვის, ბიუჯეტიდან, 2010-2011 წლებში, 14 000 ლარი გაიხარჯა. აღნიშნული თანხა ს.ს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიას თბილისში" 2010 წლის 14 სექტემბერს ჩაერიცხა. ნიკოლოზ სააშვილის სწავლისთვის ბიუჯეტიდან 5 900 ლარია გადახდილი 2011 წლის 1 ნოემბერს. ის კერძო სკოლაში, ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში სწავლობს.

ბიუჯეტის ფულით მიხეილ სააკაშვილმა ოჯახის წევრების გარდა რამდენიმე ქალბატონიც დაასაჩუქრა. დოკუმენტაციის თანახმად, პრეზიდენტმა მარიამ საჯაიას, რომელიც ახლა საპარლამენტო უმცირესობის წევრია, "გალერეა შარდენში" შეძენილი 3500 ლარიანი სამაჯური აჩუქა. ძვირადღირებული ტელეფონით "იპონე 4"-ით დაასაჩუქრა უმცირესობის წევრი თინათინ ბოკუჩავაც. ტელეფონის ღირებუ-ლება 1599 ლარია. 2011 წლის 13 აპრილს პრეზიდენტმა 982 ლარად ღირებული სამკაული – ცეპი და კულონი აჩუქა უკრაინელ მომღერალს ივანა მელაის.



### ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ: "ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲘ**ᲪᲝ**ᲪᲮᲚᲔᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ"

**5** 

თამარ ნინიძე

### ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ "ᲓᲔᲛᲝᲥᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

 – როგორ შეაფასებთ იმ პროცესებს, რაც ახლა ნაციონალურ მოძრაობაში ხდება და თუ ხედავთ ამაში მოქმედი ხელისუფლების ხელს?

– სანამ შევაფასებთ ნაციონალებში მიმდინარე პროცესებს, პირველ რიგში მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა უნდა დავახასიათოთ. ამის საშუალება მან თვითონ მოგვცა თავისი "აქტიურობით", ერთ-ერთი ტელეგამოსვლის დროს გვაჩვენა, რომ გადასულია ნერვიულობისა და შიშის ბოლო სტადიაში და ის ინფორმაციები, რომლებიც მან იცოდა თუ არ იცოდა და უხვად გადმოაფრქვია, იყო ამერიკის ხელისუფლების შანტაჟი და რატომღაც ეს შეფასება მე ვერავისგან მოვისმინე, სააკაშვილი ამბობს, დროზე მომხედეთ, თორემ ყველაფერს ვიტყვი, მათ შორის იმასაც, რაც არ ვიცი. სააკაშვილი რაც შეიძლება კარგად უნდა დავიცვათ იმიტომ, რომ მან მართლა იცის პევრი რამ, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საჭიროა. ეს მისი მმართველობის ლიკვიდაციაში ძალიან დაგვეხმარება.

— მისი თანაგუნდელები აქტიურობენ, მაგალითად, მარიკა ვერულაშვილი, რომელიც არა მარტო თანაგუნდელი იყო, არამედ მისი მარჯვენა ხელი და პრესმდივანი, ის ახლა მერაბიშვილზე ამბობს, მის გვერდით ყოფნა ადრეც მიუღებელი იყო და ახლაცო.

- ყველას ესმის, ვინც ნაცმოძრაობის "ერთგული" რჩება, ეს იყო დანაშაულებრივი რეჟიმი და მათ ამისთვის მოეკითხებოდათ ამ რეჟიმის დასრულების შემდეგ. ისინი, ვისაც დანაშაული არა აქვს ჩადენილი, ცდილობენ პასუხისმგებლობა შეიმსუბუქონ და საკუთარი პოზიციის ცვლილების გამჟღავნებას ცდილობენ. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ეს მათ მინუსში არ უნდა ჩაეთვალოთ. ხოლო ვინც მაგრად დგას და არ აღიარებს დანაშაულს, არ მესმის, რატომ არის მათზე უკეთესი. თუ მათ საშუალება ექნებათ, ისევ მოვიდნენ ხელისუფლებაში, თავიდან დაატრიალებენ ყველაფერს ქართველი ხალხის თავზე. რაც შეეხება იმას, არის თუ არა ამაში დღევანდელი ხელისუფლება ჩარეული, შინაგანი სურვილი არსებობს და შეიძლება რაღაც ბიძგები ხელისუფლებიდან მოდიოდეს.

- არ გენიშნათ გია ხუხაშვილის გამოსვლა ტელევიზიით, როდესაც მან განაცხადა, რომ ახალაიები სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლნი არიანო, აქვე ვრცელდება ინფორმაციები, რომ ადეიშვილის ყოფილმა მოადგილემ დავით ჩხატარაშვილმა მოახერხა ახალი ხელისუფლების დარწმუნება იმაში, რომ ახალაიები ალაპარაკების შემთხვევაში გამოძიებას მისცემენ სასარგებლო ჩვენებებს და მათი დანაშაული უნდა შემსუბუქდეს?

– მე ეს ინფორმაციები არ მაქვს, მაგრამ არ გამიკვირდება, ასეთი რამ



რომ იყოს. შეუქცევადია ნაცმოძრაობის კვდომის პროცესი, იმ ავადმყოფის მდგომარეობაშია, რომელსაც სასიკვდილო ჭრილობა მიღებული აქვს და აპარატზეა მიერთებული. ეს აპარატია პრეზიდენტის ინსტიტუტი და არაფრის მომცემი საპარლამენტო მან-

– ახალაიებმა დაინახეს, რომ მხოლოდ ისინი დასხდნენ განსასჯელის სკამზე და სხვა მათ გვერდით არავინ

დაპირისპირებები ყოველთვის არსებობდა ნაცმოძრაობაში და ჩვენ ინფორმაიცები მანამდეც გვქონდა, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. ამ ადამიანებს ბევრი რამ ჰქონდათ გასაყოფი. სახელმწიფოს ინტერესები არ ჰქონდათ გაცნობიერებული. ერთადერთი, რაც მათ კრავდათ, ეს იყო ძალაუფლების და ფულის სიყვარული. ყველაზე მძიმე დავალებების შემსრულებლები იყვნენ ახალაიები და მათი ტიპის ადამიანები. ვინც თავისუფლებაზე დარჩა, მათ წაუყენეს პირობა, რომ გარანტიები შეექმნათ ახალაიებისთვის სიცოცხლის უზრუნველყოფისთვის. ახალაიებს მცირე ეჭვიც არა აქვთ, რომ დაისჯებიან, მაგრამ აქ საუბარია მათი სიცოცხლის გარანტიებზე. ყველა ამ დაპირისპირებაში წინა პლანზე იწევს ლაფანყურის ოპერაცია, მეორეც, მარტო ჩეჩნებს არ აქვთ შურისძიების სურვილი, ეს გრძნობა გააჩნიათ ახალაიებისგან გამწარებულ ქართველებსაც. თუ სამართლიანობა არ აღდგება სწრაფად, თბილისის ქუჩებში ბევრ დაპირისპირებას უნდა ველოდოთ. ახალაიების კლანში მარტო მამა და შვილები არ არიან, უამრავი ადამიანი მოიაზრება. ეს ადამიანები უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ სააკაშვილი და მერაბი შვილი მათზე ზრუნავდნენ. 19 აპრილი ჰაერია და მეტი არაფერი, აჟიოტაჟი რატომ იყო ატეხილი საკონსტიტუციო დებულებებზე, გაუგებარია ჩემთვის.

– მიხეილ სააკაშვილმა ნინო შუბლაძესთან ეთერში ისეთი სასაცილო რამ თქვა, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ იცრუა და ახალაიასთან კავშირი უარყო, სამჯერ მყავს ნანახიო, არადა, კარგად მახსოვს პარლამენტში მეშვიდე სართულზე დათა ახალაიასა და ვასილ სანოძეს ოთახი ჰქონდათ და ხელის ბიჭებივით დარბოდნენ სააკაშვილის დავალებების შესასრულებლად, მისი თანაშემწეები იყვნენ. ამაზე რას იტყოდით?

— სააკაშვილი ცნობილი მშიშარაა, როგორც ადრე ახერხებდა, ახლაც ყველაზე მდაბალი კუთხით წარმოაჩენს თავს. ეშინია, ყველაფერს იკადრებს, ჯერ კიდევ სად ვართ.

— გაჩნდა ინფორმაცია, რომ მერაბიშვილს პირველობის ამბიცია გაუჩნდა და სურდა სააკაშვილის ლიკვიდაცია ან ამის ინსცენირება.

— ეჭვი მეპარება, რომ მერაბიშვილის თავში ასეთი რამ ტრიალებდეს. ვერ წარმომიდგენია მას რაში სჭირდება სააკაშვილის ლიკვიდაცია. მას იმაზე ნაკლები სასჯელი მოელის, ვიდრე სააკაშვილს. მერაბიშვილმა ძალიან ბევრი რამ იცის სააკაშვილზე. იმაში დარწმუნებული ვარ, როს ააკაშვილის ლიკვიდაცია ბევრს უნდა. ჩვენი ამოცანაა, ის მაქსიმალურად დავიცვათ იმიტომ, რომ არის უძვირფასესი მოწმე.

— 19 აპრილის მიტინგზე თითქოს მერაბიშვილი სააკაშვილს ნაცმოძრაობის თავმჯდომარეობიდან გადააყენებს, ასეთი ინფორმაციები გაჩნდა სოციალურ ქსელებში. როგორ ფიქრობთ, ამის გამკეთებელი არის მერაბიშვილი?

– ეს არის მკვდარი ორგანიზმი, ნაცმოძრაობა, პირველი სასიკვდილო ჭრილობა მიიღო 2011 წლის 26 მაისს, საკონტროლო გასროლა მოხდა 1 ოქტომბერს და ახლა აპარატზეა მიერთებული იმიტომ, რომ ჰყავს მდიდარი პატრონები, ისინი ითხოვენ ამ კოჰაბიტაციას. მათ ამ კოჰაბიტაციის მოთხოვნის გამო არ ვამტყუნებ იმიტომ, რომ მათი ამოცანაა ექსცესების გარეშე განვითარდეს მოვლენები, პროცესი მიინავლოს და არა გაიჭრას. ჩვენ ვახსენებთ სარკოზის, ბერლუსკონის, მაგრამ მათ ჰქონდათ დანაშაული ჩადენილი, აქ კი ამ დანაშაულში მთელი სისტემა იყო ჩართული. ჩვენი ხელისუფლება ამას განა არ აკეთებს, გამოძიებას არამედ ვერ აკეთებს, ეს იწვევს ჩვენს კრიტიკულ დამოკიდებულებას

— გამოვიდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და განაცხადა,
რომ ძველ პროკურორებთან შედარებით ახალი პროკურორების კვალიფიკაციის დონე დაბალია. გამოძიება რომ
რთულად მიდის, ეს ამის ბრალი იყოს?
— უფრო დაბალი როგორ არის,

ძირითადად შენარჩუნებულია ის ძველი შემადგენლობა პროკურატურაში არც იყო სააკაშვილის დროს. კუბლაშვილს ამდენი ლაპარაკის უფლება რომ აქვს, ეს არის ახალი ხელისუფლების დანაშაული, ექვემდებარებოდა კუბ-ლაშვილი იმპიჩმენტს როცა გამოცხადდა, რომ საქართველოში ორასზე მეტი პოლიტპატიმარია. ჩვენი ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის არის, რომ წინ კი არ მოდის კოჰაბიტაცია და მერე ვერგაკეთება საქმის, არამედ ვერგაკეთებას მოსდევს მერე კოჰაბიტაცია. არ არის შესაბამისი პოლიტიკური ნება და მოტივაცია. ჩვენ არა მარტო გულით, არამედ სტრუქტურებითაც მხარს ვუჭერდით ქართული ოცნების გამარჯვებას არჩევნებში. მალე გადავალთ ობიექტურ შეფასებასა და ანა-

— ქართული ოცნების ლიდერმა ივანიშვილმა არ დაასახელა კონკრეტული ობიექტი მისი სიმპათიისა ამ არჩევნებში, თუმცა ერთ-ერთ გაზეთში 
დაიწერა, რომ შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძესთან ივანიშვილსა და მას შორის იყო სიტყვიერი შეთანხმება, რომ 
ივანიშვილი ბურჯანაძეს მხარს დაუჭერს საპრეზიდენტო კანდიდატის რანგში. სანაცვლოდ კი დემოკრატიული 
მოძრაობა ხმებს არ წაართმევს საპარლამენტო არჩევნებში ქართულ ოცნებას. ეს ინფორმაცია შეგიძლიათ დაადასტუროთ?

ლიზზე იმისა, რასაც ახალი ხელისუფ-

ლება აკეთებს ყველა სფეროში.

– სპორტი დაპირისპირებაზეა აგებული, ერთი უტევს, მეორე თავს იცავს, ქართულმა ოცნებამ მოახერხა ის, რომ დღეს პირველ ნომრად ნაცმოძრაობა გვეთამაშება და თავს იცავს ქართული ოცნება. ჩვენ არანაირი პირობა არ გვქონია ივანიშვილისგან, როცა განვაცხადეთ, რომ არ მივიღებდით მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში. ივანიშვილმა ამის შემდეგ გადაწყვიტა პატივისცემის გამოხატვის მიზნით შეხვედროდა ბურჯანაძეს. სულ ეს იყო. ეს იყო გაცნობა. ბურჯანაძეს ივანიშვილი ახლოსაც არ ენახა მანამდე. პარტინიორობის ვალდებულება არსებობს, კოალიციაში ივანიშვილს იმდენი სუბიექტი ჰყავს, რომ გადაწყვეტილებებს მათაც უთანხმებს, მიუ-ხედავად იმისა, რომ მისი როლი ათასჯერ დიდია. ჩვენ დამოუკიდებელი სუბიექტი ვართ, დღეს რისი გაკეთებაც შეგვიძლია, იმას გავაკეთებთ. შემიძლია ჩემი კანდიდატი პრეზიდენტი გავხადო, უნდა გავხადო, ამისთვის უნდა ვიბრძოლო, თუ ამას ვერ გავაკეთებ, ეს ნიშნავს, რომ დღეს ამისთვის მზად არ ვარ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეგვიძლია და საზოგადოება უნდა დავარწმუნოთ ამაში. დემოკრატიული მოძრაობა გაცილებით უფრო ძლიერი პარტიაა, ვიდრე რესპუბლიკური პარტია და თავისუფალი დემოკრატები ცალკე აღებული. მოწინააღმდეგის მხრიდან დახმარება უხერხული გვეჩვენება. ეს ორგანიზაციები სააკაშვილთანაც ცდილობდნენ კოჰაბიტაციას ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე. რომ არ ყოფილიყო 26 მაისი, არ იქნებოდა 1 ოქტომბერი და რაც დრო გადის, მით უფრო რწმუნდება . ამაში ყველა.

— აგვისტოს ომის გამოძიებას-

თან დაკავშირებით ნაცმოძრაობასთან ერთად ახალი მემარჯვენეები და ქრისტიან--დემოკრატებიც ამბობენ, რომ ეს გამოძიება არ უნდა დაიწყოს, რომ ეს საქართველოს აზარალებს.

– პოლიტიკურ შეფასებას რაც შეეხება, იმაზე მძიმე დასკვნას ვერ დადებს ჩვენი ხელისუფლება, ვიდრე ეს იყო ტალიავინის კომისიის დასკვნა. აქ ამოცანა ახალი ხელისუფლებისა იქნება ის, რომ ტალიავინის კომისიაში რაც იყო, პასუხისმგებელი პირების დანაშაული უნდა გაირკვეს. ამიტომ აღშფოთება რაც მოდის ნაცმოძრაობისგან ან მისი "ძველი ოპოზიციონერებისგან"ნ გაუგებარია. გამოძიება უნდა ჩატარდეს. უნდა გამოიძიონ ის დანაშაული, რომელიც რუსეთის ხელი-სუფლებამ და არმიამ ჩაიდინა, ვინ იყვნენ პასუხისმგებელი იმ დანაშაულზე, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა, ეს უნდა გაირკვეს. მეთიუ ბრაიზა და ჯონ ტეფტი – მათი პოზიციაც უნდა გაირკვეს. ამ ორი ადამიანის გარეშე სააკაშვილი ნაბიჯს არ დგამდა. ამაზე ჩვენ მიტინგებზე ვსაუბრობდით სრულიად ოფიციალურად. 5 იანვრის არჩევნები სწორედ ამიტომ დასრულდა სააკაშვილის გამარჯვებით. სააკაშვილი რომ არ ყოფილიყო პრეზიდენტი, არ იქნებოდა აგვისტოს ომი. გული რომ არ დასწყდეს, ამ პოზიციაში ჯონ ბასსაც დავაყენებდი.

თემურ ალასანიაც უნდა ვახსენო, ეს არის რუსეთის ხელისუფლების დიდი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც კონდოლიზა რაისის გამგზავრების შემდეგ ჩამოვიდა სააკაშვილთან და რჩევები მისცა მას. ის რასაც ეუბნებოდა თემურ ალასანია სააკაშვილს, რუსეთის ხელისუფლებისთვის მისაღები იყო. სააკაშვილს ჰქონდა კონსულტაციები რუსეთის პოლიტიკურ ელიტასთან და რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა და აქედან გამომდინარე, დადგა ის შედეგი აგვისტოს ომის დროს, რაც ყველამ ვიწვნიეთ. რა იყო კონკრეტულად, ამაზე სააკაშვილმა უნდა ილაპარაკოს. ყველა აქეზებდა სააკაშვილს, რუსები ფართომასშტაბიან ომს ხომ არ დაიწყებენო.

– ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ რაც მეტ ტალახს ამოვქექავთ, მით უფრო მეტი ტალახი გამოჩნდება, ამაში ჩათრეული იყოს დასავლეთი მთელი თავისი ე.წ. ლიდერშიპით და გაგვიფუჭდეს ურთიერთობა ყველასთან?

- რუსეთი არის მთავარი დამნაშავე, მან მოახდინა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია, ჩვენ არ შევჭრილვართ რუსეთის ტერიტორიაზე, სააკაშვილის გა-ๆงชิดักอีกูเก็ก เอง งดังงเอารู้เรง ผู้ ๆตัก อังდაწყევტილებებიდან გამომდინარე მისი დანაშაულიც განსაკუთრებვით დი-დია. მათიას იორშზე მინდა ვთქვა, ეს ადამიანი ვერაფერს ხედავს, არაფერ-ຽງ ທົ່ງຈຸດທັງໄປ, ກິ່ຊິງ6, ຄົ້ນຄົ້ນ ເຈເຊັນປັ່ງປີ, სოზარ სუბარმა, მე და იორში, მე იმიტომ ვიყავი იქ, რომ ირაკლი ბათიაშვილი იყო დაპატიმრებული. სოზარ სუბარმა მაგრად შეუტია, მაშინ ის იყო სახალხო დამცველი, ისეთი რაღაცები უთხრა, იორშის ადგილას შეიძლება სახლამდეც ვერ მიმეღწია. იორშს კი ნერვი არ ატოკებია. პოლიტიკაში ეკონომიკას განმსაზღვრელი როლი აქვს, მთელი ეკონომიკა რუსების ხელშია.

## **ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗ ᲖᲕᲘᲐᲦ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲦᲘᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ**!

ტრაგედია, 1991-92 წლების სა-

ხელმწიფო კრიმინალური გა-

დატრიალება, – ნათქვამია განცხადებაში. 20 წელია ზვიად გამსა-

ხურდიას მომხრეები სამარ-

თლიანობის აღდგენისთვის იბრძვიან, მაგრამ ვერ მიაღწიეს

იმას, რომ 1991-93 წლების სა-

ხელმწიფო კრიმინალური გა-

დატრიალება და ზვიად გამსა-

ხურდიას მკვლელობა გამოძიებულ იქნეს. თუმცა, 90-იანი წლე-

ბის მოვლენებისა და საქართვე-

ლოს จักตั้งกู้ พาง จัดกู จึก ผู้กู้ เ



გულიკო ბალაძ<u>ე</u>

გასუღი წღის 25 ღეჯემბეის
საქაითველის იუსტიციის მინისტი
თეა წუღუჯიანს ქაიულის იაიონის
სოფედ ღვანის მცხოვიებმა გენაღი
მამაგუღაშვიღმა განცხადებით
მიმაით და 1991-93 წღების
სახეღმწიფო ჯიმინაღუიი
გადატიაღების გამოძიება
მოსთხოვა.

გენადი მამაგულაშვილი 1991 წელს პრე-ფექტის მოადგილე გახლდათ ქარელის რაიონში და, როგორც თვითონ აცხადებს, გადატრიალების შემდეგ იდევნებოდა. მას შემდეგ ის სოფელ გვანში ცხოვრობს ოკუპაციის ზოლთან ახლოს და მის მხრებზეც გადადის ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციის სიმძიმეც, რადგან ოკუპანტი ყოველდღიურად აფართოებს ოკუპირებულ ტერიტორიას და იქ მცხოვრები ადამიანები შევიწროებას განიცდიან.

— სახელმწიფოსა და ზოგადად ერის ცხოვრებაში იშვიათად ხდება ისეთი მოვლენები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში განსაზღვრავენ ქვეყნის არსებობის წესს. ერთი ყველაზე საზარელი მომენტი ჩვენი ერისთვის იყო მეოცე საუკუნის უდიდესი



მკვლელობის გამოძიება მთელი ერის ინტერესის საგანს უნდა შეადგენდეს, რათა ერმა იცოდეს, რა მოხდა უახლოეს წარსულში მის ცხოვრებაში.

— მაშინდელმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, უფრო სწორად, კანონიერ ბრძოლაში არჩევნების გზით დამარცხებულმა რევანშისტმა კომუნისტებმა, გამოიყენეს რა კრიმინალური ბანდები, უკანონოდ, შეიარაღებული დაპირისპირების გზით მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, შემდეგ კი ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მკვლელობა. ზემოთ თქმულს მოჰყვა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სრული კრახი, პირველ რიგში, ზნეობრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური. მაშინდელმა დამნაშავეთა ბრბომ სრულიად გაანადგურა ყველაფერი, რაც კი რამ სიმდიდრე შეუქ-

მნია ქართველ ხალხს. პოლიცია ჩაანაცვლა ყაჩაღმა, სასამართლო და პროკურატურა — ყაჩაღმა, სამართალი — ქურდმა. აგერ უკვე 20 წელზე მეტია, ჩვენი სამშობლო ინგრევა, უძვირფასესი მანქანა-დანადგარები იყიდება ჯართად, ქარხნები ინგრევა, ადამიანები გარბიან ამ ჯოჯოხეთიდან, ასე აღწერს გენადი მამაგულაშვილი განცხადებაში გადატრიალების შედეგად ქვეყანაში შექმნილ მდგო-

ყოველი ახალი ხელისუფლება აჩენს იმედს, რომ წლების წინ ჩადენილ უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულს პროკურატურა გამოიძებს. თუმცა, დღემდე იმედი იმედად რჩება, რადგან ხელისუფლებებს ამის პოლიტიკური ნება არ გააჩნიათ. ხელოვნურად გამოწვულ ძმათამკვლელ ომში დაიღუპა ასეულობით ადამიანი. უფრო მეტი გაიდევნა სამშობლოდან. თავზე დაგვეცა ერთ დროს აყვავებული საქართველო. ქვეყანა დაიყო და დანაწევრდა ანუ ახდა რუსების დიდი ხნის ოცნება, წელში გაეტეხათ ასე ამაყი ქართველი კაცი. ამ ყველაფერმა გადაიარა ჩვენს თავზე, ქართველ პატრიოტთა თავზე. ის ვაჟბატონები კი, ვინც ასე ვერაგულად მოექცა საკუთარ ქვეყანას, ისევ თავაწეულები დადიან და აგრძელებენ ძირგამომთხრელ საქმიანობას, — აცხადებს გენადი მამაგულაშვი-

საქართველოს მთავარ პროკურატურაში ათეულობით ათასი განცხადებაა შესული სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით. გასულმა 20-წლეულმა და ამ პერიოდში არსებული ხელისუფლებების საქმიანობამ, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი კითხვა დატოვა, რომელიც არა უბრალოდ პასუხის გაცემას, არამედ

გაგრძელება მე-5 გვერდზე



### ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜ**Ი: "**ᲓᲦᲔᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲝᲑᲗ"

ნონა ცაბაძე

ნაციონატუს მოძსაობაში შექმნიტ ვითაჩებას ევჩაზიის ინსტიტუტის აფასებს:



– ეს არის ჩვეულებრივი ამბავი, რამდენიც არ უნდა იძახონ, რომ მმართველი პარტია მიდის ხელისუფლებიდან ისე, რომ არ დაიშალა, რა თქმა უნდა, ეს რღვევის პროცესი იყო გარდაუვალი, იმიტომ რომ 9 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი შეცდომა და დანაშაულია ჩადენილი და, ვისაც კონკრეტულად არ მიუძღვის ამაში ბრალი, ყველას არ უნდა ამის გაზიარება. რა თქმა უნდა, არ უნდათ, რომ ეს ტვირთი აიკიდონ. უბრალოდ, იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა და ახალი საპარლამენტო უმრავლესობა იქცევა ძალიან ზომიერად, ზეწოლებს არ მიმართავს, ეს პროცესი შედარებით ნელა და გაჭიანურებულად წარიმართა. ის მიდის ლოგიკური დასასრულისკენ. ამ ვითარებაში, როდესაც პარლამენტმა რეზოლუცია მიიღო საგარეო კურსის უც-ვლელობის შესახებ, ამ მიზნით მიტინგის შეკრება არის სრული აბსურდი. რა თქმა უნდა, ეს რღვევა სერიოზულად არის დაწყებული და დასრულდება ლოგიკურად.

– საზოგადოებამ გუშინ ბევრი განცხადება მოისმინა, მათ შორის მარიკა ვერულაშვილის... ეს ყველაფერი მორალთან რამდენად ახლოს არის?

– მარიკა ვერულაშვილის გუშინდელი განცხადება, რომ მერაბიშვილია დამნაშავე და მის გვერდით დოგმა არ შეიძლება, დღეს ამის განცხადება, როდესაც 9 წლის განმავლობაში, მათი განცხადებით, კაცი ხერხემალი იყო, სულ ცოტა, უხერხულია. მოდით, დავუკვირდეთ ამ განცხადების ფორმულირებას. ის დამნაშავედ იმაში კი არ აცხადებს მერაბიშვილს, რასაც ის აკეთებდა ამ წლების განმავლობაში, რასაც ის ჩადიოდა. ის დამნაშავე ყოფილა იმაში, რომ მისი ბრალეულობით წააგეს არჩევნები. ამიტომ, როდესაც ვანო მერაბიშვილის ბრალეულობაზე ვლაპარაკობთ, სულ სხვა შინაარსს ვდებთ ამაში და მისი თანაგუნდელები – სულ სხვა შინაარსს. იცით, რაშია მათი ტრაგედია? ისინი დღესაც ვერ ხვდებიან, რატომ წააგეს არჩევნები. წააგეს იმ უმსგავსობის გამო, რასაც ჩადიოდნენ მთე-ლი ამ წლების განმავლობაში და არა იმიტომ,

რომ ვანო მერაბიშვილმა რაღაც ქნა.
– ახალაიებზე რას იტყვით? – ლოგიკური კი არის ის განცხადებები, რომ თეა თუთბერიძის დასაცავი გახდა ბაჩო ახალაია, შეატოვეს მარტო. ამაში ლოგიკა არის, მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენიც არ უნდა იძახოს გინდ თეა თუთბერიძემ და გინდა სხვამ, კონკრეტული ბრალეულობა აქვს არა მარტო ბაჩო ახალაიას, არამედ სხვებსაც, რომლებიც გირაოთი გამოუშვა სასამართლომ. მე აქ, უბრალოდ, ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა – სანამ პროკურატურაში სერიოზული საკადრო გადახალისება არ მოხდება და სანამ სასამართლოში ვითარება არ შეიცვლება, არაფერი არ იქნება. ამის თვითდინებაზე მიშვება არაფრით არ შეიძლება, შედეგი არ დადგება. პროკურატურაში სხედან ისევ ის ადამიანები, რომლებიც ამ საქმეებს თითხნიდნენ ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, მიჰქონდათ სასამართლოში და სასამართლო ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებდა. ახლა იმავე პროკურორისა და მოსამართლის პირობებში რა შეიძლება შეიცვალოს?! პროკურორი იტყვის,

მე ვარ დამნაშავეო და საკუთარ თავს გამოუტანს საბრალდებო დასკვნას თუ მოსამართლე იტყვის, უკანონო გადაწყვეტილება მივიღეო. ახალაიებს რაც შეეხება, ახლა, როდესაც ყველასთვის ნათელია, რომ დაძირულია ეს გემი და რაც ამ გემის კაპიტანმა გუშინწინ ილაპარაკა, ამას უკვე სახელი აღარ ჰქვია პოლიტიკის ენაზე, ამიტომ ყველა ცდილობს, რაღაცნაირად თავი გადაირჩინოს. ზოგი პირდაპირი მნიშვნელობით ცდილობს ამას, რომ სასჯელს გადაურჩეს და ზოგი იმ პოლიტიკური მნიშვნელობით, რომ პოლიტიკურ არენაზე დარჩეს. მე ამ პროცესზე ჯერ კიდევ რამდენი ხნის წინ ვსაუბრობდი. ეს პროცესი თანდათან გამძაფ-რდება და პარლამენტს შიგნითაც და პარლამენტს გარეთაც ბევრ სიურპრიზს უნდა ველო-

– ეს განცხადებები რატომ გაკეთდა მაინცდამაინც 19 აპრილის წინ? ეს არის გამიჯვნა ვანო მერაბიშვილისგან თუ რასთან გვაქვს

 ეს განცხადებები კეთდება იმიტომ, რომ ახლა ხომ ვერ გამოვლენ და პირდაპირ ხომ ვერ იტყვიან, 19-ში ნუ მიხვალთ მიტინგზეო, მაგრამ ეს განცხადებები კეთდება იმ პირის მიმართ, რომელმაც ორი თვით ადრე დააანონსა ეგ მიტინგი. ეს არის არაპირდაპირი მითითება იმაზე, რომ ამ მიტინგს ემიჯნებიან და, შესაბამისად, ამ მიტინგზე იქნება, ალბათ, მარტო "ბუჩქებში გამოზრდილი" პატრიოტები და განსაკუთრებით მათი ერთგული პირები.
— სააკაშვილი არ აპირებს ამ მიტინგზე

อิกปฏะเอง. เองับ คักก เองบริกด?

- არა, უბრალოდ, სააკაშვილს არაფერი აქვს მიტინგზე სათქმელი. ის არასოდეს მიდის იქ, სადაც თვითონ არ იქნება პირველი ფიგურა. ეს არის ვანო მერაბიშვილის მიერ გამოცხადებული მიტინგი. სააკაშვილი რომ მივიდეს, რა უნდა თქვას? მას თურმე ძალიან უმძიმს პრეზიდენტობა, მაგრამ გადადგომას მაინც არ აპირებს. რა უნდა თქვას, ქუჩის მიტინგი ყრილობა არ არის, რომ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი გადააყენოს. მე ადრეც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, რომ ნაციონალური მოძრაობა საკუთარ წესდებას არღვევს. გენერალური მდივნის დანიშვნა არ შეიძლება. მდივანი ყრილობამ უნდა აირჩიოს. მიხეილ მაჭავარიანიც და მერე ვანო მერაბიშილიც პირდაპირ არის დანიშნული. რა დანიშნულება აქვს ამ მიტინგს? ერთმანეთთან შეხვედრა თუ უნდათ და მოფერება, კი ბატონო, მით უმეტეს, რომ ასეთი შეხვედრა ბიუჯეტს არ დაუჯდება 250 ათასი, როგორც დუბაიში ნაცელიტის გრიალი. კი ბატონო, შეხვდნენ ერთმანეთს. ყველა ადამიანს აქვს შეკრების, მანიფესტაციის უფლება და გამოხატვის თავისუფლება. ამ უფლებას მათ არავინ ართმევს. მთავარია, რომ პოლიციამ უზრუნველყოს წესრიგი.

– გაფლანგვები და დუბაიში "გრიალი" ახსენეთ და ამაზეც მინდა თქვენი კომენტარი... ამაზე ვინ უნდა აგოს პასუხი, ხალხის ფულით რომ "იგულავეს"?

– საქართველო ხომ პატარა ქვეყანაა და არაფერი იმალება. ეს ინფორმაციები ჩვენ ყველას გვქონდა, უბრალოდ, დოკუმენტები გამოქვეყნდა გუშინ, თორემ ყველამ იცოდა, რომ ეს ასეა. საოცარია მათი უვიცობა ყველაფერში. მათ ეგონათ, ეს კვალი არ აღმოჩნდებოდა არსად? ამის დაშვება შეიძლება? ყველაფერი ხომ დოკუმენტირებულია. კიდევ ბევრი დოკუ<del>.</del> მენტია, უამრავი და, რა თქმა უნდა, ეს ყველა ფერი გაირკვევა და გამოჩნდება. აბა, სად მიდიოდა ეს ამდენი ფული? მიდიოდა სწორედ მათ დროს ტარებაში, მასაჟებში, გახდომაში, ქალებისთვის საჩუქრების გაკეთებაში. სამარ-ცხვინოა, ოცი წლის გოგოს ამ საჩუქარს რომ უკეთებენ, მერე ცვლილებებს იღებენ კონსტიტუციაში და 21 წლის ასაკში დეპუტატი ხდება. გუშინ კიდევ უტიფრად უარყოფდა, როცა ამის დოკუმენტი არსებობს. – როგორ ფიქრობთ, რამდენ ათას ადა

მიანს შეკრებს ვანო?

- დღევანდელ აქციას რაც შეეხება, გეტყვით, რომ გამორჩეულს და უჩვეულოს არაფერს ველოდები. დავუშვათ, მოიყვანეს 20 ათასი ადამიანი. ესეც ყველაზე გადამეტებულს გეუბნებით, ყველაზე დიდს. მერე რა, რას ნიშ-ნავს ეს? რა არის 20 ათასი? 600 ათასი კაცი იყო გამოსული გარეთ და აპროტესტებდა სააკაშვილის მმართველობას. რა არის იმ ფონზე ეს 20 ათასი ადამიანი? არც არაფერი! არა მგონია, რაიმე პროვოკაციას ჰქონდეს ადგილი. მაგათ ამის არანაირი რესურსი აღარ გააჩნიათ. ეს არის სულ ტყუილი ფახიფუხი მათგან. ერჩივნათ, თვითონვე ეთქვათ უარი ამ მიტინგზე, იმიტომ რომ საბოლოოდ ეს მათი დასამარება იქნება. არის ინფორმაცია, რომ დიდძალი ფული იხარჯება ამ აქციაში, მაგრამ, არა მგონია, რამე გამოვიდეს. შეიკრიბონ და დაილაპარაკონ ერთმანეთში, ამაში არავითარი პრობლემა არ არის. მე ამ დღეს დავარქვი ნაცმოძრაობის ეროვნული დათვალიერების დღე და დავათვალიეროთ დღეს ერთი, ვინ არიან.

### **ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗ ᲖᲕᲘᲐᲦ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲦᲘᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ!**

დასაწყისი მე-4 გვერდზე

გამოძიებას მოითხოვს.

ძნელი სათქმელია, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება რამდენად შეძლებს ამ საქმეების გამოძიებასა და პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას, რომ მომავალ თაობებს არ დარჩეთ გამოსაძიებელი, როგორც ეს ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით მოხდა.

 ძალიან გამიხარდა, როცა თქვენ და თქვენი უწყება კანონიერების აღდგენის ინიციატივით გამოხვედით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ილუზია არ შეგვქმნია, რომ შევარდნაძე გაასამართლებდა თავის თავს, სააკაშვილი გამოიძიებდა თავისი აღმზრდელის დანაშაულს და იქნებ არც ახლაა შესაფერისი დრო, მაგრამ, თუ თქვენ მართლაც აპირებთ სამართლის თავის ადგილზე დაბრუნებას, დაიწყეთ თავიდან და გამოიძიეთ, სად მოხდა მისი მასობრივი დარღვევა, რამ განაპირობა დანაშა-ულებრივი ქმედებები და სამართალი აღადგინეთ ჩვენს თვალში, – მოუწოდებს გენადი მამაგულაშვილი თეა წულუკიანს.

გენადი მამაგულაშვილი განცხადებაში აღნიშნავს, რომ ყველა დანაშაული დანაშაულია, მაგრამ პრეზიდენტის მკვლელობა არ არის მსუბუქი დანაშაული.

– ვიღაცამ ვიღაცას წკიპურტი რომ წაარტყა, კი ბატონო, დანაშაულია, მაგრამ, როცა პრეზიდენტის მკვლელი არ გაგისამართლებია, როცა ქვეყნის დამქცევი არ გაგისამართლებია და ყველანაირად გაურბიხარ ამ პროცესის დაწყებას, რაზეა საუბარი, ან რატომ დევს უკვე რამდენიმე წელია საპარლამენტო კომისიის მიერ გამოძიებული და პროკურატურისთვის გადაცემული მასალები თაროზე? ან რატომ არ დაწყებულა გამოძიება ჩემ მიერ შემოტანილ განცხადებაზე მთავარ პროკურატურაში, რომელიც მეოთხე თვეა ხელიდან ხელში გადადის და ვეღარც კი მივაკვლიე, ვის აწერია? — წერს გენადი მამაგულაშვილი, რომელშაც ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ მისი განცხადებები (ორჯერ მიმართა განცხადებით ამ საკითხის გამო-Iიების მოთხოვნით**)**, რომელიც წლების წინ ჩადენილ უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულებს ეხება, ქარელის რაიონში იგზავნებოდა.

– ჩემი თხოვნაა, დაუბრუნოთ სამართალს თავისი კანონიერი ადგილი ერის ცხოვრებაში, დაუბრუნოთ ხალხს სამართლიანობის შეგრძნება. ამოვიღოთ ჩვენი ცხოვრებიდან დაუსჯელობის განცდა იმისათვის, რომ მომავალში სხვასაც არ გაუჩნდეს იმავეს გაკეთების სურვილი, რომ სხვამაც არ ჩადგას ფეხი საქვეყნო

ცოდვაში. რაც უფრო დიდია დანაშაული, მით მეტია მისი აღკვეთის სურვილი, ხოლო რაც მეტია სამართალი, მით მეტია მისი დაცვის წყურვილი. აღგვიდგინეთ კანონი და სამართალი და აღდგება, გამრთელდება გახლეჩილი საქართველოს გული.

– ბატონო გენადი, რატომ გადაწყვიტეთ, განცხადებით მიგემართათ იუსტიციის მინისტრისთვის სახელმნიფო გადატრიალებისა და პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების მოთხოვნით?

- მე ვარ გენადი მამაგულაშვილი, ეროვნული მოძრაობიდან. ამჟამად ვცხოვრობ ქარელის რაიონის სოფელ დვანში. ადრე ვცხოვრობდი თბილისში, მაგრამ არეულობის შემდეგ სოფელში წავედი. მანამდე, 1991 წელს, ქარე-ლის პრეფექტის მოადგილე ვიყაკიტოვანისა და სიგუას ხალხის შიერ ვიყავი დაპატიმრებუ-ლი. 1992 წლის 5 იანვარს დამაკავეს. როგორც კი ზვიადმა დატო-ვა თბილისი, 7 იანვარს გამათავისუფლეს.

#### – რას გეუბნებოდნენ, რა უნდოდათ?

– სადაც მე ვყავდი, ფაქტობრივად, ის იყო საწამებელი ადგილი. ეს იყო თბილისის ზღვაზე, სადაც ისინი დაბანაკდნენ მაშინ. ჩვენ ორნი ვიყავით დაპატიმრებული, მე და ფალავანდიშვილი – ქარელის რაიონის პრეფექტის მოადგილეები. ჩემ გვერდით ოთახში აწამებდნენ ქალს, უზენაესი საბჭოს დეპუტატს. მისი წამების ხმები გამოდიოდა. ერთხელ გამოვეპარე დაცვას და შევედი იმ ოთახში, საიდანაც წივილ-კიილი გამოდიოდა და ვნახე ადამიანების საწამებელი ადგილი, მოწყობილი დასაბმელები და საწამებელი იარაღები. ჩვენთანაც შემოვიდა ერთი კაცი, ადამიას დაჯგუფების წევრი, ვინმე გელა გელაშვილი, რომელმაც მოინდომა ჩვენი წამება, მაგრამ დროზე მოგვისწრეს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბიძინა დანგაძემ და გია ფირცხალაიშვილმა. რატომღაც ისინიც აღმოჩნდნენ იქ და წამებისაგან გვიხსნეს. ეს გადატრიალება იყო საქართველოს ისტორიაში ყველაზე საზიზღარი მოვლენა, ყველაზე დამანგრეველი და გამანადგურებელი. ამას მოჰყვა ჩვენი ერის როგორც სულიერი, ისე ფიზიკური, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური გაკოტრება. ფაქტობ-რივად, ჩვენ, როგორც სახელმწიფო, აღარ ვარსებობდით 1992 წლის 7 იანვარს, როცა სახელმწიფო გადატრიალება დამთავრდა. იმის შემდეგ დაიწყო ქვეყნის განადგურება. არეულ-დარე-

ულობასა და ქართველთა ურთირთფიზიკურ დაპირისპირებას მოჰყვა საქართველოს ტერიტორიული რღვევა. სწორედ ამ მიზნით იყო გამოგზავნილი ის ხალხი (რომელსაც მე ხელისუფლებას ვერ დავარქმევ) – კრიმინალური ბანდა, რომელმაც ქვეყანა მიიყვანა განადგურებამდე. მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, როგორც ქვეყანაზე მზრუნველს ათეული წლის განმავლობაში, უფლება არ მაქვს, არ მოვითხოვო იმ ხალხის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, რომელ მაც ჩემი ქვეყანა დაანგრია და გაანადგურა. ფაქტობრივად, ჩვენი სამოთხე, რასაც საქართველოს ეძახდნენ, ჯოჯოხეთად იქცა, საიდანაც ხალხი გარბის. არ შეიძლება, ეს დარჩეს გამოუძიებელი და სამართალი არ აღდგეს თუნდაც იმისათვის, რომ ჩვენმა მომავალმა თაობებმა იგივე არ სცადონ.

- สงสิบงชี ๆ คือกงป ชักคิงองอ

იცნობდით?

\_ – დიახ. ზვიად გამსახურდია გავიცანი 1989 წლის აქციებზე, როცა იყო გამოსვლები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნით. მანამდე არ ვიცნობდი, მაგრამ ყოველთვის ვიყავი მისი და მისი ოჯახის იდეის, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის მომხრე. ამისთვის, რაც შემეძლო, ვაკეთებდი, ლეგალუ-რად თუ არალეგალურად.

– ე.წ. ბუნკერში თუ იყა-

– არა. ბუნკერში ჩვენი პრე-

ფექტი იყო ნიკო შუბითიძე და მან ფიიტანა ამბავი, ზვიადის თხოვნით უნდა დარჩეთ იქ და რაიონს

– რაიონი ჩვეულებრივ აგრძელებდა ცხოვრებას?

– ჩვენ ჩვეულებრივ ვმუშაობდით. მოგეხსენებათ, 1991 წელს დიდი მიწისძვრა იყო, რომელმა ჩვენი რაიონიც დააზიანა. მიწისძვრის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. აღდგენით სამუშაოებს ვხელმძღვანელობდი. ძალიან ბევრი სახლი, დაწესებულება აღვადგინეთ.

– ქარელში?

– ქარელშიც და სხვაგანაც. ასეთი ფაქტი იყო – ოსებმა შეაშიე-უტი იურ – რაებია მეამი-ნეს გორის ავტოსაწარმოს თანამ-ული ერი აზ შრომლები, არ შეგიშვებთო და ვერ შეჰქონდათ საშენი მასალები ლიახვის ხეობაში. მე ავიღე ჩემს თავზე და ჩემი რაიონის ორი ავოსაწარმოს მანქანებით შევიტანე საშენი მასალები.

- მინისძვრით დაზიანებული სახლები აღადგინეთ?

– აღვადგინეთ, ვიდრე ჩვენ ვმოქმედებდით. რაც ვერ მოვასწარით, დარჩა. მასალები იქ, მგონი, დღესაც აწყვია. არ დაგვცალდა დასრულება.

#### **ᲨᲡᲡ-Ს ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ-**ᲐᲜᲐᲚᲘᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲔᲞᲐᲠᲒᲐᲛᲔᲜᲒᲘᲡ **ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲣᲗᲝᲡ** ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი დავით სუჯაშვილი, გუშინ ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის უფროს მრჩეველ კაუპო კანდს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეუთოს მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში ვინსენტ დე გრაფი და პროგრამის მენეჯერი ნინო გოგოლაძე.

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა სტუმრებს, უწყებაში ანხორციელებული მიმდინარე რეფორმები და სამინისტროს სისტემის განვითარების 2013 წლის

სტრატეგია გააცნეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა დავით სუჯაშვილმა სტუმრებს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაც-ვის კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეთ-ბაც გააცნო. ისაუბრეს ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ეროვნული უმცირესობებისა და ქართველი მოსახლეობის შესახებაც.

ეუთოს დელეგაციის წარმომადგენლებმა თავის მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო ურთიერთანამშრომლობის და ეროვნული უმცირესობების საკითხებზე კონკრეტული პროგრამების განხორციელების სურვილი გამოთქვეს. ნიუსპრესი

#### ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ 3 ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲡ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝ

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვიგუშინ ახალქალაქში, ილია ჭავჭავაძის სახელობის 3 საჯარო სკოლას ესტუმრა და საქართველოს ისტორიის გაკვეთილს დაესწრო.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ახალქალაქის ქართულ სკოლაში მიხეილ სააკაშვილი მოსწავლეებსაც გაესაუბრა და ყურადღება უახლესი ისტორიის დეტალებზე გაამახვილა. პრეზიდენტმა ისტორიულ ფაქტებთან და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით პარალელებიც გაავლო. მესამე საჯარო სკოლის დირექტორი ლელა ჭინჭარაული კი მიხეილ სააკაშვილმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

დღესვე საქართველოს პრეზიდენტი წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის სასწავლებელ – პანსიონატს ესტუმრა, რომელიც ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე ნიკოლოზის ძალისხმევით შეიქმნა. მიხეილ სააკაშვილმა სასწავლებელი დაათვალიერა, აქ დამზადებულ ნიმუშებს გაეცნო და ადგილზე გადაღებულ რამდენიმე ფილმსაც უყურა. პრეზიდენტს ბავშვებმა მათივე ხელნაკეთი თექის ნიმუში უსახსოვრეს. სასწავლებელში სხვადასხვა პროფილის პროფესიულ უნარჩვევებს ასწავლიან, მათ შო-რის, ხელსაქმეს, კინომონტაჟს, გადალებას და სხვა. მოგვიანებით, მიხეილ სააკაშვილი სურთხაჩის

სომხურ ეკლესიაში მივიდა და წირვას დაესწრო. საუბრისას, საქართველოს პრეზიდენტი რეგიონის განვი-თარების საკითხს შეეხო და, ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის მნიშვნელობას დაუთმო.

ნიუსპრესი

# 92

### ᲒᲐᲩᲝ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲒᲐᲦᲐᲘᲦᲝ

2

ნათია ხურცილავა

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია მისი ბრალდების საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესებს დაესწრება.

აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინ გამართულ პროცესზე მოსამართლე გიორგი დარახველიძემ დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვის შემდეგ მიიღო.

დაცვის მხარე პროცესზე ბრალდებულ ბაჩო ახალაიას დაშვებას ითხოვდა. მათი განმარტებით, ახალაიას ქმედება არ არის მიმართული პროცესის ჩაშლისკენ და, ადვოკატების თქმით, ახალაია ამბობს, რომ მას არ სურს, სასამარ-



თლოს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში ხე-ლი შეუშალოს.

ახალაიას პროცესზე დაშვებასთან დაკავშირებით დაცვის მხარეს პროკურორებიც დაეთანხმნენ, თუმცა, მათი თქმით, შუამდგომლობაზე საპროცესო ნორმა იყო დარღვეული, რადგან არ იყო ახალაიას ხელმოწერა.

მოსამართლის თქმით, ახალაია გაძევებული იყო იმის გამო, რომ მან წესრიგი დაარღვია და უპატივცემულობა გამოამჟღავნა, ამიტომ სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, ჰქონდა თუ არა მას მზაობა, რომ იმავეს აღარ გაიმეორებდა.

ამის საპასუხოდ დაცვის მხარემ ახალაიას სახელით დაწერილი განცხადება წარმოადგინა, რომელშიც იგი თანახმა იყო, რომ პროცესზე დაშ-ვების შემთხვევაში გუშინდელი სხდომა მის გარეშე გამართულიყო და შემდეგ პროცესებზე იგი დაესწრებოდა სხდომებს.

მოსამართლემ დაცვის მხარის მიერ ბაჩო ახალაიას პროცესებზე დასწრების შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

მოსამართლის განცხადებით, თუ ახალაია კიდევ ერთხელ გაიმეორებს თავის ქმედებას, გა-ძევებული იქნება და, სავარაუდოდ, სხდომებზე აღარც დაბრუნდება.

როგორც ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა განაცხადეს, შემდგომი პროცესების ბრალდებულის გარეშე გაგრძელება ბრალდებულის უფლებების დარღვევა და სამართლიანი სასამართლოს განხორციელებისთვის ხელის შეშლაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადვოკატების შუამდგომლობას პროკურორებიც დაეთანხმნენ. მათი თქმით, შუამდგომლობას მხარი ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე დაუჭირეს.

მოსამართლის განმარტებით, თუ ბაჩო ახალაია კიდევ ერთხელ დაარღვევს წესრიგს, სასამართლოზე მისი დაბრუნება აღარ მოხდება.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატებმა ბაჩო ახალაიას ხელმოწერილი წერილი წარმოადგინეს, სადაც ახალაია მის გარეშე თანახმა იყო გუშინდელი სხდომის ჩატარებისა, მიუხედავად ამისა, მოსამართლემ ბრალდებულის გარეშე სასამართლო პროცესის გაგრძელება მიზანშეუწონლად მიიჩნია. შესვენების განმავლობაში ბადრაგის სამსახური არკვევდა, შესაძლებელია თუ არა, ბაჩო ახალაიას ეტაპირება "მატროსოვის" ციხიდან განხორციელდეს. გუშინ თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო

გუშინ თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების სასამართლო პროცესი გადაიდო.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი დარახველიძემ მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილი გახდა, რომ პროცესზე საბადრაგო სამსახურის მიერ ახალაიას წარმოდგენა ვერ ხერხდებოდა და, შესაბამისად, მოსამართლემ მიილო გადაწყვეტილება, პროცესი ბრალდებულის მონაწილილების გარეშე აღარ გაგგრძელებინა.

მონაწილეობის გარეშე აღარ გაეგრძელებინა.
გუშინდელ პროცესზე განსახილველი ეპიზოდი ეხებოდა: სამხედრო მოსამსახურეებისთვის
სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და
ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს,
როდესაც მას, პროკურატურის ინფორმაციით,
სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყე-

## 

ნათია ხურცილავა

ჩეინტეგჩაციის მინისტჩ პაატა ზაქაჩეიშვიღის განცხაჹებას გუშინ უშიშჩოების საბჭოს აპაჩატი გამოეხმაუჩა.

როგორც აღნიშნული განცხადებიდან ირკვევა, მიუხედავად გარკვეული წყენისა, გიგა ბოკერია მზად არის, არა მხოლოდ პაატა ზაქარეიშვილთან, არამედ ახალ ხელისუფლებასთანაც ითანამშრომლოს.

უშიშროების საბჭოს აპარატის განცხადებით, თუ რეინტეგრაციის საკითხებში

სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს უშიშროების საბჭოს შეკრებასთან დაკავშირებით წუხი-ლი აქვს, პირველ რიგში, საქართვე-ლოს პრემიერ-მინისტრს უნდა მიმართოს.

ასე გამოეხმაურა უშიშროების საბჭოს აპარატი პაატა ზაქარეიშვილის განცხადებას, რომლის თანახმადაც, უშიშროების საბჭოს მდივანი მასთან არ თანამშრომლობს, 
ხოლო უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც, ზაქარეიშვილის აზრით, კოჰაბიტაციის რეჟიმში ყოველ
კვირას უნდა იკრიბებოდეს, არჩევნების შემდეგ ერთხელაც არ გამარ-

– უშიშროების საბჭოს აპარატი გაკვირვებას გამოთქვამს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის 17 აპრილს გაკეთებული განცხადებების გამო, რომელიც უშიშროების საბჭოს სხდომე-อักษ์ ลงอึงศัพรูงษง ซุง ๆ ฮิก ฮิศัพกูอักษ์ บงอ้ჭოს მდივანთან თანამშრომლობას შეეხებოდა. ვინაიდან ბატონი პაატა ზაქარეიშვილი ამ თემებზე სპეკულირებას საჯარო სივრცეში აგრძელებს, მიზანშეწონილად ვთვლით, გავაკეთოთ ზოგიერთი განშარტება: პირველი რიგში, გვინდა დავაზუსტოთ, რომ კანცელარიის შენობაში განთავსებულია უშიშროების საბჭოს აპარატი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს ინფორმაციულ-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს. უშიშროების საბჭოში, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, კანონმდებლობით განსაზღვრული მუდმივმოქმედი წევრები – საქარ-რეო საქმეთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები,



ასევე ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწე – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი შედიან, – ნათქვამია უშიშროების საბჭოს აპარატის განცხა-

უშიშროების საბჭოს აპარატი იმ მიზეზებს ხსნის, თუ რატომ არ ტარდება უშიშროების საბჭოს სხდომები. მათი განმარტებით, ამისთვის ორმხრივი თანამშრომლობაა საჭირო.

 ახალი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, როცა აღმასრულებელ ხელისუფლებას სა-პარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური გუნდი წარმოადგენს, ბუნებრივია, უშიშროების საბჭოს სხდომების გამართვა ორმხრივი თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია. საქართველოს პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრს პირადი შეხვედრის დროსაც და საჯაროდაც შესთავაზა, გამართულიym უშიშროების บงังสูตบ บ<sub>ั</sub>งดดอง. งิธิงლოგიური წინადადებით მმართველი გუნდის წევრებს უშიშროების საბჭოს მდივანმაც მიმართა, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემხვედრი მზაობა არ გამოუხატავს. ასეთ პირობებში პრეზიდენტის მხრიდან უში შროების საბჭოს სხდომის მოწვევა მხოლოდ ფორმალური ხასიათის იქნებოდა. თუკი ბატონ პაატა ზაქარეიშვილს უშიშროების საბჭოს შეკრებასთან დაკავშირებით წუხილი აქვს, მან ამ საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში, საქართველოს პრემიერ-მინისტრს უნდამიმართოს, – აცხადებენ უშიშროების საბჭოში.

უში ჭორიების საბჭოს აპარატის განცხადებით, არსებობს გარკვეული ფორმატი, რომლის ფარგლებშიც სამინისტროსა და საბჭოს შორის თანამშრომლობა კონკრეტულ საკითხებზე მიმდინარეობს.

— რაც შეეხება თანამშრომლობის სხვა ასპექტებს, გვსურს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს მივაწოლოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უში შროების საბჭოსთან ფუნქციონირებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი კომისია, რომელშიც, სხვა სამინისტროებთან ერთად, მისი მოადგილე

ქეთევან ციხელაშვილია წარმოდგენილი. აღნიშნულ ფორმატში კომისია სამინისტროსთან თანამშრომლობდა ისეთ დოკუმენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის პროექტი, ასევე საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგიაში ცვლილებების პროექტი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეინტეგრაციის სამინისტროს, თავის მხრივ, კომისიისთვის "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი არ მოუწოდებია. უშიშროების საბჭოს აპარაგი ასევე აქტიურად თანამშრომლობს რეინტეგრაციის სამინისტროსთან სხვა მიმართულებითაც, სახელდობრ, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათშორისი კომისიის ფორმატში და კვლავ ადასტურებს მზაობას, თავისი კომპეტენცი-ის ფარგლებში, მომავალშიც გააგრძელოს თანამშრომლობა არა მხოლოდ აღნიშნულ სამინისტროსთან, არამედ სხვა უწყებებთანაც, როგორც ეს ამჟამადაც ხორციელდება. ამასთანავე, შეგახსენებთ, რომ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სწორედ უშიშრობის საბჭოს მდივანი ხელმძღვანელობდა სამუშაო ჯგუფს, რომელსაც ახალ პოლიტიკურ ძალასთან თანამ-შრომლობით ტრანზიციის პროცესი უნდა უზრუნველეყო. სწორედ ორმხრივი თანამშრომლობის გარემოში მიმდინარეობდა ეს პროცესი, როცა ცალკეულ სამინისტროებში არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების მივლენა წინასწარ ხდებოდა. ამავე პროცესის ფარგლებში, ახალი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლებმა სრულფასოვანი ბრიფინგი მიიღეს შესაბამისი სფეროების, მიმდინარე პროცესებისა და საქართველოს სახელმწიფოს პოზიციების თაობაზე. მათ შორის იყო პაატა ზაქარეიშვილიც, რომელსაც ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში მონაწილეობის შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზევე მიეცა. ყოველივე ეს ნორ-მალური ცივილიზებული პრაქტიკის შესაბამისად წარემართა, – აღნიშნულია განცხადებაში.

უშიშროების საბჭოს განცხადებაში ნათქვამია, რომ, მიუხედავად გარკვეული აქტივობების დაფინანსების შეჩერებისა, უშიშროების საბჭო მზადყოფნას გამოთქვამს, ახალ ხელისუფლებასთან ითანამშრომლოს.

– თუ ბატონ პაატა ზაქარეიშვილს უშიშროების საბჭოს მდივანთან ან საბჭოს აპარატის რომელიმე თანამშრომელთან დამატებითი თანამშრომლობის სურვილი ჰქონდა, საკმარისი იქნებოდა, ამის შესახებ ტელევიზიით საჯარო განცხადებების გაკეთებამდე ჩვენს უწყებასთან პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ ๆปึกปีศ์คาอีกป ใงอัสที่ป ปิดการโกป งชრით, მიუღებელი იყო ახალი მთავრობის მხრიდან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე 2013 წლის อัก ๆ หาง อัก ๆ ซีก ฮีค์ คฤอัก แรง ปรุง แรง อังრატისათვის ისეთი პროექტის დაფინანსების შეჩერება, როგორიც "ეროვნული უსაფრთხოების პოლი ტიკის ღონისძიებების" განხორციელებაა, რაც, სხვა აქტივობებთან ერთად, პარტნიორი სახელმწიფოების მიერ მხარდაჭერილი და ნატოს ყოველნლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული კრიზისების მართვის სისტემის რეფორმირების პროცესის დასრულებას (ეროვნული სიტუაციური ოთა-ხის შექმნას) უნდა მოხმარებოდა, ასევე ზოგიერთი სამინისტროს მხრიდან უწყებათაშორისი კომისიების ფორმატში საბჭოს აპარატთან თანამშრომლობის შეწყვეტისა, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მზაობას, ახალ პოლიტიკურ გუნდთან თანამშრომლობა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გავაგრძე-ლოთ, – აღნიშნულია უშიშროების საბჭოს განცხადებაში.

## **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ: "ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲘ**

**ᲔᲒᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲐᲦ ᲣᲜᲦᲐ ᲒᲐᲘᲡᲒᲣᲛᲠᲝᲡ"** 

საბჭოთა ანაბჩების
"გაქჩობამ" 90-იან წღებში
საქაჩთველს ბევჩი
მოქაღაქე დააზაჩადა.
ჩოგოჩც გაიჩუვა, იმ დჩოს
საქაჩთველში 4 მღნ-ზე
მეტი მეანაბჩე აჩსებობდა,
ყველას გააჩნდა გაჩუვეული
ღანაზოგი და ამ
აღამიანების უმეტესობამ
ეს დანაზოგი დაუაჩგა.
აქტივი, ჩომელიც
მეანაბჩეებს ბანჯებში
ჰქონდათ, მხოლოდ

გამქრალ თუ შეჭმულ საბჭოთა ანაბრებთან დაკავშირებით სხვადასხვა ექსპერტი სხვადასხვა ციფრს ასახელებს, ზოგი 5 მილიარდზე საუბრობს, ზოგიც 8 მილიარდს ასახელებს. ფაქტია, რომ ამ ეტაპამდე, რეალურად არაფერი გაკეთებულა და არც იმის გათვლა მომხდარა, რა არის გასაკეთებელი. ეს საკითხი 2003 წელს გააქტიურდა, როდესაც ხელისუფლებაში "ნაციონალური მოძრაობა" მოდიოდა. ეს მათი წინასაარჩევნო დაპირება იყო, თუმცა შემდეგ ეს ყველას

რატომღაც მიავიწყდა. "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამაში ეს თემა ასე აქტიურად არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ რადგანაც ქვეყანაში ცვლილებები მოხდა, ბევრი ადამიანის ინტერესის საგანს წარმოადგენს, ახალ ხელისუფლებას რა ხედვა აქვს ამ თემასთან დაკავშირებით.

საბჭოთა ანაბრების თემაზე "გურია ნიუსთან" საუბრისას საკუ-თარი მოსაზრება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემაც გამთქვა.

— ბატონო დავით, ბოლო პერიოდ ში ძალიან აქტიური გახდა საბჭოთა ანაბრების დაბრუნების საკითხი. "ნაციონალური მოძრაობის" ერთერთი წინასაარჩევნო დაპირებაც სწორედ ანაბრების დაბრუნებას ეხებოდა, რომელიც არ შესრულდა. როგორ ფიქრობთ, რამე შანსი თუ აქვს
"საბჭოთა" მეანაბრებად წოდებულ
ადამიანებს ამ მთავრობისა და პარლამენტის პირობებში მოხდეს თემის წამოწევა?

— პირდაპირ გეტყვით, პარ-ლამენტში ეგ საკითხი ჯერჯერო-ბით არ არის შემოსული და მაგ კუთ-ხით ჩვენ არ ვმუშაობთ. ბუნებრივია, ამაზე უფრო აქტიურად მუშაობს მთავრობა და მსჯელობენ იმაზე, რი-სი საშუალებაა, რომ მოხდეს ამ ვა-

ლის გასტუმრება

მოგეხსენებათ, მუდმივად არის იმაზე საუბარი, რომ საბჭო-თა ანაბრები მთლიანად შიდა ვალ-ში უნდა აილოს ხელისუფლებამ და შესაბამისად, მერე გამოძებნოს სა-შუალება, რომ ეტაპობრივად მოხდეს მისი გასტუმრება. ასეც უნდა მოხდეს. შესაბამისად, როგორ და რანაირად განხორციელება, ეს მთავრობის საფიქრალი და გადასაწყვეტია.

 რამდენად რეალურია ამ პროცესის დაწყება და როგორ ფიქრობთ, რა არის პირველ რიგში ამ მიმართულებით გასაკეთებელი?

— იცით რა არის, მანდ ყველაზე რთულია იმის განმარტება და განსაზღვრება, ვისი რა იყო და რამდენი, რათა შემდგომ მოხდეს კოეფიციენტების სწორად და სამართლიანად მიყენება. მაშინდელი მანეთი დღეს რა კურსითაა დასაანგარიშებელი და როგორ უნდა მოხდეს ინდექსაცია. არ არის ეს მარტივი თემა. მარტო საპოპულისტოდ რომ ვილაპარაკოთ, დავაბრუნებთო, არ იქნება ეს კარგი საქციელი და არასდროს ვიკადრებთ მსგავს რა-

უცებ, ერთი მილიარდი რომ დაგვეცეს ახლა ბიუჯეტში საიდანმე და უცებ გადავწყვიტოთ, მოდით,



გავცეთ ანაბრებისთვისო, მაინც ყველაფერი დასაანგარიშებელი იქნება წესის და რიგის მიხედვით. როცა ეს ყველაფერი ერთიან კომპლექსში იქნება წარმოდგენილი, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება პარლამენტში ამ საკითხზე მსჯელობის დაწყება და კანონის მიღება.

"გურია ნიუსი"

3/6-01003004353

მოქალაქე -გიორგი გაბეჩავა



მოქალაქე -იური არმენამე 3/ნ- 61005004308

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 717600001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 717600001-3
გირავნობის ხელშეკრულება	N 717600001-δ

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფარით მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შირის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაბირ მფლიბელიზაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სარამა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქცს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელშწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაციმა. რის შემდეგაც მოხდება აგტომობბილის ზანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზი (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ზანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგანტიში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ზანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით.

სს "ზითიეი ბანკი'

მოქალაქე -კალისტრატე გულორდავას პ/ნ- 01010011734

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 700360001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 700360001-4
გირავნობის ხელშეკრულება	N 700360001-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გემლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელიზისში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობის აისი ალების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობის მიზე მემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამისი სახელმწიფო ორგანოს გირავნობის მიზეთან გადაგმობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობება, ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველს) შირის შეთანხმებული დი ინება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველს) შორის შეთანხმებული დირებულების შესაბამისად.

დაგირავეზული ავტომოზილის მოგირავნის პირდაპირ მფლოზელოზაში გადაცემის ან/და დაგირავეზული ავტომოზილის პირდაპირ მფლოზელოზაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ზანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანმდებოლბისა და ჩვენს შორის გაფორმეზული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ზანკის მიმართ არსებულო დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესაბე პირზე (მყიდველი) ზანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით

სს "ზითიეი ზანკი

მოქალაქე -ლევან მელიქიშვილს პ/ნ- 50001001716

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 762600001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 762600001-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 762600001-5

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულით ნაკისრი ვალდებულება, დაფარით მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამიქალატო კოდექსის 281-ე მუხლის პირვილი ნაწილისა და ჩვენს შორის გაგორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული აგტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ირგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმსახურების სააგენტოს, მისთხოვოს გირავნობის მიწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ განკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ზანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანბმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავეზული ავტომოზილის მოგირავნის პირდაპირ მფლოზელობაში გადაცემის ან/და დაგირავეზული ავტომოზილის პირდაპირ მფლოზელობაში არსეზეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ზანკის მიმართ არსეზული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული აეტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირეზულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,

სს "ზითიეი ბანკი"

მოქალაქე -გრიგოლ სარალიძეს 3/ნ- 11001001349

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 781930001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 781930001-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 781930001-δ

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფარით მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაბირ მფლიბელიზაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, მეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მიწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელშწიფო ორგანოს გირავნობბით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება აგეტობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველს) შორის შეთანანებული დი ირებლების შესაბამისად.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში პროექტის "აღმოაჩინე ახალი მხატვარი" ფარგლებში ელენე მელქაძის პერსონალური გამოფენა სახელწოდებით "ზღაპრული ქალაქი" გაიმართა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილ იქნა მხატვრის მიერ შესრულებული 43 ფერწერული ნამუშევარი, შირმა და სანათები. ნამუშევრებში მხატვარს გამოყენებული აქვს რთული შერეული ტექნიკა: ზეთი, გუაში, აკვარელი, გარდა ამისა დასახატად იყენებს ყავას, ენდროს, ჩაის, იოდს, ნახშირსა და ბრილიანტის მწვანეს, ამიტომ მისი ნამუშევრები ყოველთვის გამორჩეულია. მასალის ფაქტურა ასეთივე გან-სხვავებულია, მას ხშირ შემ-თხვევაში რთული ტექნოლოგიით ამუშავებს ავტორი და ამიტომ მისი ნამუშევრები ყოველთვის განსაკუთრებულ ეფექტს

– ელენე მელქაძე პროფესიით ტექსტილის დიზაინერია, ეს მისი მესამე გამოფენაა, მისი შემოქმედება ფანტაზიით, უშუალობითა და გემოვნებით გამოირჩევა. გამოფენა "ზღაპრული ქალაქი" საქართველოს ຫງັ້ນ ສູ້ຕົດໄ, ອີ່ ກູ້ໂດງດູເ, ງຸດຄົດເວັ້າ და ปูกหั้ากลหังตักกษ์ บงษั้าตายักสุก მუზეუმში, პროექ<u>ტ</u>ის "აღმოაჩინე ახალი მხატვარი" ფარგლებში რიგით მესამე გამოფენაა, – განაცხადა გიორგი კალანდიამ.

ხელოვნების სასახლეს ისრაელის ელჩი იუვალ ფუქსი ეწვია. ელჩმა მუზეუმში დაცული ებრაული ექსპონატები, ხელოვნების სასახლის მუდმივმოქმედი საგამოფენო დარბაზები და ხელნაწერთა ფონდში დაცული უნიკალური ექსპონატები დაათვალიერა.

მუზეუმმა ძვირფასი საჩუქარიც მიიღო. ერევნის სერ-გო ფარაჯანოვის სახლ-მუზეუმის დირექტორმა სავენ სარქისიანმა და ფოტოხელოვანმა იური მეჩითოვმა, მუზეუმს საჩუქრად სერგო ფარაჯანოვის სახელობის ვერცხლის მონეტა გადასცეს, რომელიც საერთაშორისო ნუმიზმატური პროგრამის "კინოს ოსტატების" ფარგლებში არის გამოცემული

მუზეუმმა ინტერნეტჟურნალ "ამბიონთან" ერთად მოაწყო ქართული ფოტოგრაფიკის ფუძემდებლის ზურაბ დათუაშვილის საიუბილეო გამოფენა სახელწოდებით "შავ-თეთრი სიმფონია". ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა თემატიკის ასი ნამუშევარი.

"ღრუბელთ მეტყველე-ბა", "დედა ბუნება", "სოფელი... წუთისოფელი", პორტრეტები, "იყო ჩიტი მგალობელი" "სარ კმელი", "ევა" ტაძარი და სხვა. — ზურაბ დათუაშვილი

ქართული ფოტო გრაფიკის ფუძემდებლად ითვლება. იგი წლების მანძილზე მუშაობდა ფოტოჟურნალისტიკაში. მისი ნამუშევრები ოსტატობით, განსხვავებული ხედვითა და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია წლების მანძილზე ფოტოხელოვანის მიერ გადაღებული მხოლოდ შავ-თეთრი ფოტო ები, რომელიც განსაკუთრებულ განწყობას უქმნის მაყურებელს, აღნიშნავს მუზეუმის ხელ-

მძღვანელი.

ხელოვნების სასახლე ტრადიციას არც ამჯერად ღალატობს და ატარებს საგანმანათლებლო პროგრამას. თეორიულ ნაწილში ბავშები ულამაზეს სიყვარულის ლეგენდებს, სხვადასხვა ქვეყნის სიყვარულის ტრადიციებს, მუზეუმის ულამაზესი შენობის აგების მიზეზად ქცეულ სიყვარულის ისტო რიასა და ამურის შესახებ შეიტყობენ. პრაქტიკულ ნაწილში კი ბისერებით, ესკიზს, თავისი ნელით მოხატავენ.

#### **ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ** ፌንሀኑጋሣን

ეკა ირემაშვილი

დედაენის კვირეული საზეიმოდ დაიხურა. 14 აპრილიდან დაწყებული სხვადასხვა ღონისძიებების დამაგვირგვინებელი საღამო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამი-

ნისტროსა და კინო-ცენტრი "აფხაზეთის" ორგანიზებით დასრულდა. ორგანიზატორთა მიერ ჩატარდა პროექტი "ვამრავლოთ მამულში სიტყვა ქართული", რომელსაც ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუტის საჯარო სკოლამ უმასპინძლა. ღონისძიების

ორგანიზატორთა განცხადებით, საღამოზე წარმოდგენილი იქნა ლიტერატურული კომპოზიციები, საქართვე-

ლოს კუთხეების ადათ-წესებისა და ჩვეულებების ფოლკლორულ გამოხატვასთან დაკავშირებით. ღონისძიების პარალელურად მოეწყო ბავშვების ნახატების, ასევე აფხაზეთის ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.

საღამოს დასასრულს, დედაენის დღისადმი მიძღვნილ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, კალიგრაფიისა და ხატვის კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

დედაენისადმი მიძღვნილი კვირეული 14 აპრილს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიხსნა. კვირეულის ფარგლებ-ში დაგეგმილ ღონისძიებებში მოანაწილე-

ობა მიიღეს აფხაზეთის, სოფელ მამხუტის, სოფელ ვარიანისა, არქევანის საჯარო და კახის რაიონის (საინგილო) სკოლის მოსწვალეებმა.

პროექტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლები-

სა და ლტოლვილთა სამინისტროს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ჰერეთის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება "ქურმუხელის" მხარდაჭერით განხორციელდა.

დედაენის დღესთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგ ლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა კონფერენცია. ეს თარიღი საქართველომ 14 აპრილს აღნიშნა. ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა, საქართველოს კულტურისა და ປົງລັ້ວວາ ຜູ້ວິເຊີດປ ປຸລອີດຄົດປ່ტროს მხარდაჭერით, მოაწყო კონფერენცია იმ ახალი

კვლევებისა და აღმოჩენების შესახებ, რაც ჯერ კიდევ უცნობია ქართული საზოგადოებისათვის. ეს თემები შეეხება ნეკრესში აღმოჩენილ ახალ წარწერებს, რომელთა მეშვეობით ქართული მრგლოვანი ანბანის შექმნის დათარიღებაა შესაძლებელი; ნეკრესის კალენდრის მიხედვით კი ირკვევა ქართული წარმართული კალენდრისა და პასქალური კალენდრის ურთიერთმიმართების საკითხები; ალეკო ცინცაძის თემა შეეხება იოანე ზოსიმეს "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის" და ისეთი ახალი დარგის შექმნას, როგორიცაა ასტროენათმეცნიერება; მერაბ ჩუხუასა და რეზო აბაშიას თემები ეხება ქართული ენის როლს ქართველურ (იბერიულ) და საერთოკავკასიურ ცივილიზაციათა განვითარების კონტექ-სტებში; ქეთევან სოხაძე განიხილავს ქართული უძველესი წარმართული კალენდრის ტერმინოლოგისაა და ქართველურ (იბერიულ) ტომთა განსახლების საკითხებს ზოდიაქოებთან მიმართების საკითხებში.

19 აპრილს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი გამოფენა "ჩემი დედაენას" ფარგლებში ბოლნისის, კახის, აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების და აფხაზეთის სახელოვნებო სკოლა "აფხაზეთი 1"-ის მოსწავლეებს უმასპინძლებს. ვიზიტი სახელმწიფო პოლიტიკის "ეთნიკურ უმცირესო-ბებში ქართული ენის ცოდნის ხარისხის ამაღლებისა" და ქართული სახელმწიფო ენისადმი მიძღვნილი კვირეულის "ვამრავლოთ მამულში სიტყვა ქართული" ფარგლებში განხორციელდება.

სახელმწიფო ენისადმი მიძღვნილი კვირეული აფხაზეთის მთავრობის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი "ქურმუხელის", მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამის "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სსიპ კინოცენტრი "აფხაზეთის" ორგანიზებით ხორციელდება.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს 15 მოსწავლე, რომელთაც სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემათ. ღონისძიებას დაესწრებიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ალექსანდრე აპლაკოვი.

#### **ᲒᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲒᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲦᲠᲐ ᲛᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ**

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლი სააგენტოდან, ტაო-კლარ-ჯეთის ძეგლების მკვლევარი ირინა გივიაშვილი დუბლინიდან შეუერთდა, რომლის დახმარებით თურქეთში არსებული ქართული ძეგლების მდგომარეობა ჯერ კიდევ გასულ წლებში მოექცა ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ქართულ დელეგაციაში ასევე ჩართულია საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენ-ดูดักป โรงต์อีตอังอุลุกุธกูสกุล สูกุอლის მხატვრობის რესტავრატორი მერაბ ბუჩუკური.

ცნობილია, რომ გაოკლარჯეთში არსებული ქართული ძეგლები დღეისათვის სავალალო მდგომარეობაშია. თურქულმა მხარემ დაიწყო კიდეც სარესტავრაციო სამუშაოები, თუმცა ქართული მხარის ჩაურთველობის გამო, ეს სამუშაოები კვლავ შეჩერდა. ქართულმა მხარემ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვა-ປິດຈຸ ຕັກປົດປີປຸງຄົນ ປຸ່ວສູຕົດປຸງປຶດຈ და მასზე ყველანაირი სამუშაოები უნდა შეჩერდეს.

ცნობილი ხდება ისიც,

რომ იშხანთან ერთად დაგეგმილია ოშკის სარესტავრაციო პროექტის განხილვაც, რაც სავარაუდოდ მაისში მოხდება. – მაისის პირველ ნახე-

ვარში ოშკის სარესტავრაციო პროექტის განხილვა მოხდება. ამჟამად ოშკის სარესტავრაციო პროექტი შემუშავების პროცესშია. ქართველი სპეციალისტები შეეცდებიან იქაც მალე ჩაერთონ, რადგან თურქულმა მხარემ ამისთვის მზადყოფნა გამოთქვა. მანამდე თურქეთსა და საქართველოს შორის კულტურული ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაც თუ გაფორმდება, ქართველ სპეციალისტებს ფორმატი ექნებათ და სამუშაოებში მალე ჩაერთვებიან. აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოსა და თურქეთში საერთო კულტურული ძეგლების პასპორტიზაციას ითვალისწინებს, რომელიც სხვაგვარად არ განხორციელდება. ძეგლების პასპორტიზაციის შედეგად კი იმ ძეგლთა ჯგუფი გამოიკვეთება, რომელსაც სასწრაფოდ შველა სჭირდება, – განმარტა კულტუ-რის მინისტრის მოადგილემ მარინა მიზანდარიმ.

### **ՊՈᲜՆᲗᲘᲜ ᲒᲣᲠᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ** ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲒᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ

დასაწყისი მე-12 გვერდზე თველოს კულტურისა და ძეგ-ლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მოხ-

რეჟისორი თინათინ გურჩიანი, 2011 წელს, სამშობლოში დაბრუნდა, დაიწყო თავისი ფილმისათვის გმირების ძიება და გამოაცხადა ქასთინგი 15დან 23 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის. მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველას, ვისაც მიაჩნდა, რომ თავისი რეალური ისტორიით, ყოველდღიური ყოფითა თუ მიზნებით შეძლებდა კინოგმირი გამხდარიყო. ที่าุ่งกน้าที่กาน ก็อกเลกงเลืองน้ำ อิ้งกา ლი ქვეყნიდან უამრავი ახალ-გაზრდა გამოეხმაურა, მძაფრი, ენერგიით დამუხტული, სევდიანი თუ ღიმილიანი ისტორიე-

ფილმი შედგება ქასთინგებისა და ტრადიციული თხრობისაგან, ფილმისათვის განსაკუთრებით საინტერესო გმირებს რეჟისორი ყოველდღიურ ცხოვრებაში მიყვება. თითოეული გმირი საგულდაგულოდ არის შერჩეული.

ფილშის გადაღება 2011 წლის შემოდგომაზე, 20 დღის

მანძილზე საქართველოს სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებში მიმდინარეობდა, მათ შორის თბილისში, ხულოს რაიონის სო-ფელ ღორჯომში, წყალტუბოში, ამბროლაურის რაიონის სოფელ ხცისში, მარნეულსა და სხვადასხვა კუთხეებში.

ფილმის იდეის ავტორი და რეჟისორია თინათინ გურჩიანი, ოპერატორი – ანდრეას ბერგმანი, პროდიუსერი – თამარ გურჩიანი, აღმასრულებელი პროდიუსერი — კახა მაჭარაშვილი, სურათში მონაწილეობენ რამინ ირემაძე, ჯემალ აბულაძე, თეონა ბაგრატიონი, ირაკლი კაკუბავა, შუქია წიკლაური, გიორგი ქარსელაძე, ზაზა გიორგობიანი, ირი თოდრიაშვილი, მადი ბერიაშვილი, გურამ ჯიჯავაძე, გოჩა ცქიტიშვილი, სოფო გოგოლაძე, გიორგი სულაბერიძე, სერგო ჩომახაშვილი, თამარ კვიციანი, ედუარდ ციკოლია და სხვები.

"მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" თინათინ გურჩიანის მეორე ნამუშევარია კინოში. მისი მხატვრული დებიუტი "სხვაგან" გერმანიის კინოაკადემიის მთავარ პრიზზე იყო წარდგენილი.

გავრცელებული კატისებრთა ოჯახის წითელ წიგნში შეტანილი ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 3. ალალბედზე მოქმედება; 4 ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 5. აივნიანი პატარა სახლი ინდოეთში; 10. ქვენარმავალთა მეორე სახელწოდება; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ისლან დიის პარლამენტი; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. აეროპორტი ბელგრადში; 20. ფულის ერთეული ყაზახეთში.

თარაზულად: 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 9. ძვირფასი თვლების წონის ერთეული; 13. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. ფილიპინების დედაქალაქი; 18. ქართველი მხატვარი; 19. მდინარე გურიაში; 21. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 22. დაბალი, საამო ხმით სიმღერა; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური "მარადიული ურია". შეადგინა თ.გოგინაშვილმა 23

### წინა ნომეხში გამოქვეყნებული ახოსვოხდების პასუხები:

### 36MB3M6Q0 5

**შვეულად:** 1. ყარაუნი; 2. ჰიპოთეზა; 3. საფარა; 4. პუარო; 5. გოზინაყი; 8. სავოიარი; 12. დანი; 13. ჰონოლულუ; 14. ისრიმი; 16. ბაზიერი; 18. დოსიე; 20.

თარაზულად: 6. მარიფათი; 7. წყალტუბო; 8. სუდოკუ; 9. გურია; 10. მეცენატი; 11. შვიდეული; 15. ზომერჰოისი; 17. ნიკორა; 19. მონოციკლი; 21. ყურძენი; 22. ბუდაპეშტი; 23. იოგურტი.

#### ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. კომუნიკე; 2. თრთვილი; 3. ობამა; 4. ზამბახი; 5. იტე; 10. ფოლკლორი; 11. სემირამიდა; 12. ასფალტი; 15. კასტელანი; 16. გრივნა; 17. გონდოლა; 20. ფრაჟე.

თარაზულად: 6. ტოლერანტობა; 7. ბაზალტი; 8. გრაფიკა; 9. ტიროლი; 13. წეკო; 14. ჰენესი; 18. პარასკევი; 19. ქორქი; 21. არათი; 22. პამირი; 23. ბატისკაფი; 24. შპინდელი.

### ᲡᲝᲡᲝ **ᲪᲘᲡ**ᲥᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ։ "ᲓᲦᲔᲡ ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲦᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲘᲜᲐᲣᲒᲣᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲬᲧᲝᲑᲡ"

ნონა ცაბაძე

#### **ᲘᲜ**ᲒᲔᲠᲕᲘᲣ **ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘ**ᲓᲔᲑᲔᲚ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲦᲔᲜᲢ ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

 – ბატონო სოსო, ხალხს ერთმანეთში აერია ტყუილ-მართალი, ამ სოციალურ ქსელებზეც ხომ ერთი ამბავია. დიდი ქაოსია ნაციონალებში. როგორც ექსპერტმა, იქნებ გაგვარკვიოთ, რა ხდება? რასთან გვაქვს საქმე?

– არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ნამსხვრევები, არამედ მთლიანად ქართველი საზოგადოება, კარგად არის ინფორმირებული და საკუთარი თვალით ხედავს, რომ უპირობო ლიდერი ნაციონალური მოძრაობის, აღარ არის მიხეილ სააკაშვილი. ჯერ ერთი ადამიანი, რომელიც არაკომფორტულად გრძნობს თავს บง งุ ของคั บงชิชิพอัตกัชิก, მაგრამ მაინც საკუთარ თავს პრეზიდენტს ეძახის, ვერ იქნება სანდო ლიდერი, რომელიმე პოლიტიკური ძალის. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც ვანო მერაბიშვილი გააქტიურდა, ძალიან შედეგიანად იყენებს შექმნილ ვითარებას. ნათქვამია - ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო და სწორედ ნაციონალური მოძრაობის ამ ბნელ ღამეში, ჩათვალა, რომ უნდა ჩაანაცვლოს პარტიის მწვერვალზე სააკაშვილი და შესაბამისად გახდეს მთავარი საპირწონე დღევანდელი ხელისუფლების. ამას მოსახლეობა სერიოზულად არ აღიქვამს, მაგრამ ღიზიანდება, რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობის ის ნაწილი, რომელიც არასოდეს აღიქვამდა მას საკუთარ ლიდერად, რომელთაც არ აკლდათ ინფორმაცია, მის მიერ გადადგმული ავი ნაბიჯების შესახებ და ბოლოს და ბოლოს ამ გაჭირვების ჟამს, ზოგიერთში გაიღვიძა თავმოყვარეობამ, რომელიც დაფუძნებულია საკუთარი პერსპექტივის მსხვრევის შიშზე. ამდენად, მოტივაცია, ნაციონალური მოძრაობის შემორჩენილ გუნდს, საკმაოდ მაღალი งา่าง กอกบองกับ, คีกอ องกับแท้ გงმიჯვნა იმ წარსული სადისტური ქმედებებისგან, რაც ახასიათებდა ნაციონალურ მოძრაობას და გაემიჯნოს კაცთმოძულებას, რომელიც ზოგადად იყო ამ პოლიტიკური გუნდის არსებობის სფერო. ყველა ცდილობს ინდივიდუალურად მოერგოს რეალობას, მაგრამ გარკვეულად შეინარჩუნოს საკუთარი "ღირსე ბა" თავისი თანაპარტიელების წინაშე და არ გამოვრიცხავ, რომ ვიხილოთ რამდენიმე შთამომავალი ნაციონალური მოძრაობისა, გარკვეული პოლი<u>ტ</u>იკური ჯგუფების სახით. რომელთა შორის დიდი ალბათობით კიდევ უფრო მწვავე დაპირისპირება დაიწყება მას შემდეგ, რაც მოისურვებენ ფორმალიბაციას საკუთარი ერთობის და გააჟღერებენ საკუთარ მზაობას, დარჩნენ პოლიტიკაში

– წაციონალების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული წერილი არ ეკუთვნის დათა ახალაიას, მოგვიანებით მეორე წერილიც გამოჩნდა... რა ხდება, ერთმანეთში აირია ჭორ-მართალი?

– ჩვენ 9 წელი ვითმენდით ნაცი-พธิงლური อิพิปิดังพิปิดิบ สุพิที-อิงท์ดงตับ, ვაკვირდებოდით და ახლა თუ 9 თვით აიგრძელეს საკუთარი ტექნოლოგიების მოქმედების ვადა, ეს არავის უნდა უკვირდეს. რასაკვირველია, როდესაც ვრცელდება რაიშე მწვავე ინფორმაციის შემცველი ამბავი, ნაწილს ეს ეამება, ნაწილს ეს სწყინს, ნაწილისთვის ეს მიუღებელია და ჯამში იქმნება ისეთი ნიუსი, რომელიც შემდგომ, მრავალ კომენტარს იმსახურებს და უკვე თავად შინაარსი ამ ინფორმაციისა, მეორეხარისხოვანი ხდება. ამასაც შევეჩვევით. გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი ცდილობს, რომ მისთვის სასურველი ამბავი დაიჯეროს და შესაბამისად ეკვეცება უნარი ობიექტური ანალიზისა. ამიტომ ვისაც სურს, დაიჯეროს, ვისაც სურს, ნუ დაიჯერებს, მაგრამ ქმედებები ამა თუ იმ ინდივიდისა, იქნება გამჟღავნებული და არა მგონია, ამას დიდი დრო დასჭირდეს. ლოგიკა და მსოფლიო გამოცდილება, გვასწავლის, რომ არც ერთი დანაშაულებრივი ჯგუფი, იქნება ის მძარცველთა გაერთიანება, თუ მძარცველ პოლიტიკოსთა, არ არის მუდმივი და რაც უფრო უხეშია მათ მიერ ჩადენილი დარღვევები, მით უფრო ხანმოკლეა თანამზრახველთა ერ-

– გვესმის შეფასებები იგივე ახა-ლი ხელისუფლების მხარდამჭერებისგან, ექსპერტებისგან, რომ ახალაიები სააკაშვილის მსხვერპლნი არიან, თითქოს მათ გამართლებას ცდილობენ, ეს რამდენად სწორი ტენდენციაა?

– სააკაშვილის მსხვერპლი, მთლიანად საქართველოა და ამდენად, რა გასაკვირია, რომ პატარა წერტილები ქვეყნის რუკაზე ისეთი, როგორიც ახალაიები არიან, აგრეთვე მსხვერპლად აღიქ-



ვას ვინმემ. მაგრამ მსხვერპლიც არის და მსხვერპლიც. ერთია, რომელიც წუხს თავისი მდგომარეობით ასეთი მსხვერპლობისას, მეორე კი არხეინად და სიამოვნებით იძენს ასეთ სტატუსს, რადგან ამგვარი მსხვერპლი, უპირველეს ყოვლისა, წარმოშობს სხვა უამრავ რეალურ მსხვერპლს და ეს არის სწორედ მათი ტკბობის საგანი.

– ბატონო სოსო, რაც შეეხება დღევანდელ აქციას, ცოტა ხნის წინ გავრცელ და ინფორმაცია, რომ სწორედ 19 აპრილს გიგი უგულავა ვიზიტით პრაღაში მიემგ ზავრება... როგორ ფიქრობთ, ამით ის განუდგა ამ აქციას?

როდესაც პრეზიდენტყოფილი აცხადებს, რომ არ მივალ ამ აქციაზეო. ამით რასაკვირველია გარკვეული სისტემური შიდა დაპირისპირების საფუძველი უკვე ექნებათ ადამიანებს, რომელიათვისაც ვანო მერაბიშვილი არ არის მათი პარტიული ხატი. ეს შედარებით ადრე დააანონსა სააკაშვილმა. ამდენად, ვფიქრობ, სწორედ ეს განცხადება უფრო გაათამამებდა ყოფილ თანაგუნდელებს, რომლებმაც მეორე დღესვე გააკეთეს განცხადება, განშორებასთან დაკავ-შირებით, ვგულისხმობ მერაბიშვილთან და მის აპოლოგეტებთან განშორებას.

– მცდელობა იმისა, რომ ვანო მერაბიშვილი აქციონ განტევების ვაცად, რამდენად წაადგებად ნაციონალებს?

– ეს თავად მერაბიშვილის არჩევანია. როგორც ჩანს, არ ჰყოფნის შორსმჭვრეტელობის უნარი იმისთვის, რომ წარმოიდგინოს საკუთარი თავი, რამდენიმე თვის შემდეგ და იმდენი ხანი იყო ჩუმად და იმდენი ხანი იყო საკუთარ კაბინეტში ჩაკეტილი, რომ გაილაღა ახლა ფუძნებლებსაც კი არ ჰქონდათ.

– გამოდის, რომ დღევანდელი აქცია, ეს არის საკუთრივ ვანო მერაბიშვილის აქცია?

ლიდერის თანამდებობაზე.

დენტობის ამბიცია? ითქვა, რომ სწო-ชกდენტო კამპანია...

პანია გადააკეთონ 27 აპრილის საშუალედო საპარლამენტო არჩევნების კამპანიად, მაგრამ მოვლენები, რაც ვითარდება ნაციონალური მოძრაობის ელიტის თავს, არ გვაძლევს იმის მტკიცებულებას, რომ ნაცმოძრაობის ნაოცნებარი რაიმე რეალობასთან იქნება როდესმე მიახლოებული.

პის ნეოკოჰაბიტაციას ადგილი რომ არა აქვს ნაციონალურ მოძრაობაში, ეს, მე

მგონი, ბავშვისთვისაც ნათელია.
— პროვოკაციებს თუ უნდა ველოდეთ? უდესიანს თუ დავუჯერებთ, ამ აქციაზე ტერაქტი იგეგმებაო...

უდესიანი თუ იტყვის, ეგრე იქნება, რადგან თავად ყველაზე კარგად იცის, რას აპირებს. სხვა მხრივ, რაიმე ტიპის ტერაქტის ინტერესი არც ხალხს გააჩნია და არც ხელისუფლებას. შესაბამისად, ავტოტერაქტები ადვილი გასაშიფრი იქნება, მაგრამ უდესიანი თუ ქართული ოცნების პროპაგანდისტი გახდებოდა, არ შეგონა, რადგან ასეთი პროგნოზი, საჯაროდ გაჟღერებული, ამცირებს მონაწილეთა რაოდენობას, როგორც წესი, და ჩავთვალოთ, რომ აღარც უდესიანი იქნება მართული მე-რაბიშვილის მიერ. განდგომია მერაბიშვილს და ეგ არის. ამ სტრიქონების მკითხველს უკვე თავად ეცოდინება კარგად, რა ხდება, რა ხდებოდა რუსთაველის გამზირზე. ამდენად, პროგნოზი თუ არ დაემთხვა რეალობას, რასაც ისინი დააკვირდებიან, მხოლოდ მოკრძალებული ბოდიშით მივმართოთ ახალი თაობის ერთგულ მკითხველებს.

ამ ახალგაზრდა მამაკაცამა და თუკი ვინმე გახდა მეოცნებე ნაციონალუ-რი მოძრაობიდან, სწორედ ვანო გახლავთ, რადგან ასეთი უკიდეგანო ოცნება, თავად ქართული ოცნების დამ-

ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ტ/სერ "როსელბ" 17.00 დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოება-ნი"18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ "Დავმორნინდეთ" 21.00 ტ/სერ "როსელბ" 22.00 "ქცენტე-

– ეს არის მცდელობა, ვანო მერაბიშვილის მიერ, თვითინაუგურაციის, ნაციონალური მოძრაობის – რამდენად გაუჩნდა პრეზი

რედ დღეიდან უნდა დაეწყო საპრე-– შეიძლება მორცხვად ეს კამ-

დოქსები' 08.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 11.00 საქართვე-ლოს პარლამენტის სხდომის ტრანლის პარლაძეხტის სიდოთი ფოა-სლაცია (3/ტ)19.00 ტ/სერ. "სა0-დუმლო გამოძიეგანი" 15 სერ. 00.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ \_ დაინყო მათი რღვევის პროცესი, თუ მთავრდება უკვე? — ყოველ შემთხვევაში, რაიმე ტი-

ენებზე) 07.30 ს დილა 09.00, 11.00,

ტ/სერ "Დაპმოჩნინდეთ 21.00 ტ/სერ "როსელა"22.00 "აქცენტე-ბი" 23.30 "წითელი ზონა" 00.30 მხ/ფ "ხელეგი ძალბძზე" (ტიტ.) 02.40 დ/სერ "მარიხუანას პარა-

36036535

06.30 "მოამბე" (აფხაზურ"

პახას ჯევი

19 აპხილი

14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 14.00, 17.00, 18.00, 20.00, 00.00 ქონიკა 09.10 ს დილა (გაგრძელე-ბა)10.00 სჟი. "მაუ306ზარი" 13 სერ.11.20 სჟი. "მაფ00ს ძვრი-30"13.00 დოკ/ფ "მოდის ფანატიკოსები" 14.40 ახალი საბავშვო ხმა კონესი 14-1-0 ამალი ამამკაკო მმა (გ/ჩ)16.35 რომ გადახვალ" გააჩე-რე (გ/ჩ)17.50 სერ. "მ00ლ0სმა" 18.50 სერ. "პპრძბლული სიყვარული" 10 სერ.21.00 სერ. "მბრტოსული" 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (3/ე) 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა

საქართველო 10.00 სერ. "სიყვა-რული მშვენიერია"11.00 სერ. "იდუგალი ძალი"12.00, 15.00, 18.00, "10200 ლი იალი 12.00, 13.00, 13.00, 13.00, 12.00, 12.00, 13.00, ეგულების ძალა"20.50 ეგო კო-ეგულების ძალა"20.50 ეგოვნუ-ლი ლატარეა22.00 პოზიცია23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერიპ დაიჯესტი კლიპები



06.00, 11.55, 14.55, 17.55,

20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ "გბძ-ცევა შოუშენკოდან" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერ-თსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25

02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 შაბა-თის სახარების განმარტება 11.10 ლოკ/ფ "საქართველოს ცის ქვეშ" ღავით ქკალუა 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "მისპრის ზარმაი" 13.15 კონცერტი - ქართული მუსიკის საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატე-14.50 მართლმადიდებლური კატე-ხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დი-დი მარხვის სამოციქულო სახარე-ბის განმარტება - გ. სარია 16.20 მხ/ფ "უპანბაქ60ლ0 %3ბაროსნები" 17.25 საუბრები ლიტერატურაზე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთ-ქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ბრ Დბე%30/4M, რ/Mმ ბლბაპბრ" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამ-შობლოში 22.25 ქრისტიანული ხე-ლოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 22.20 ღიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუ-მარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესსჩრ 🕝 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 8.10, 9.10, 1.00, 6.30 ახალი აძბები 8.10, 9.15 მალვიძარა 11.00 მაგთ-იფანი (ხუთ შ. სერია) 11.30, 16.40 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 17.00 მონიტო-რის ჟურნალისტური გამოძიება 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თო4-შოუ "კვირის არგ-2.00 თოქ-შოუ "კვირის არგ-უმენტები" 19.15 სერიალი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 "ყოველდღიური აბები" 22.20, 0.30 მაგთიფანი 23.00, 3.00 თოქ-შოუ -'პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით

#### "ᲙᲝᲜᲒᲠᲐᲞᲣᲜᲥᲒN № 5" Սፎዝጋջን

ეკა ირემაშვილი

20 აპრილს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში თანამედროვე მუსიკის ფესტივალი "კონტრაპუნქტი" საზეიმოდ გაიხსნება. ფესტივალის გახსნამდე ერთი დღით ადრე საქარ-თველოში ჩამოვა მსოფლიო რანგის ალისტი კიმ კაშკაშიანი. იგი სომხური წარმოშობის ამერიკელი მუსიკოსია. იგი ფილადელფიის მუსიკალურ აკადემიაში სწავლობდა. მასთან მოლაპარაკებები ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და საბოლოოდ წარმატებით დასრულდა.

კიმ კაშკაშიანი ბერლი-ნის, ვენის, ნიუ-იორკის ფილარმონიული ორკესტრების უცვლელი სოლისტი და 2013 წლის გრემის მფლობელია. მას გამოცემული აქვს 30-ზე მეტი ალბომი და არის კლასიკური და თანამედროვე მუსიკის უბადლო შემსრულებელი. იგი ხშირად თანამშრომლობს გიდონ კრემერთან, იო იო მასთან და ვენის ფილარმონიულ ორკესტრთან. მისი ალბომები დაჯილდოებულია მნი შვნელოვანი პრი ზებით, მათ შორის ედისონ პრიზით და კანის პრიზით კამერული მუსიკისათვის. 2013 წელს კიმ კაშკაშიანი გახდა ერთ-ერთი პრესტიჟული პრიზის მფლობელი, როგორც საუკეთესო სოლო ინსტრუმენტალისტი კურტაგისა და ლიგეტის ნაწარმოებების შესრულებისთვის. ამჟამად მუსიკოსი მოღვაწეობს ნიუ ენგლანდ კონსერვატორიაში და ეწევა აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას.

კიმ კაშკაშიანთან ერთად ფესტივალის საზეიმო გახსნაში მონაწილეობას მიიღებენ ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სოლისტი ფლეიტისტი ირაკლი ევსტაფიშვილი და უცხოეთში მოღვაწე ქართველი ალრტისტი გიორგი ცაგარელი, რომელიც ამავე დროს ფესტივალის ერთ-ერთი დამაარსებე-

საღამოზე შესრულდება აზარაშვილისა და ტიგრან მანსურიანის ნაწარმოებები. ქართველი კომპოზიტორი შეკრებილ საზოგადოებას წარუდგენსორ ნაწარმოებს – კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისთვის და კონცერტი ალტისა და ორკესტრისთვის. რაც შეეხება ტიგრან მანსურიანს, იგი თბილისელ მსმენელს შესთავაზებს ასევე ორ ნაწარმოებს — პარტიტა ორკესტრისათ ვის და სამი არია ალტისა და ორკესტრისათვის. სპეციალურად ამ ფესტივალისთვის თბი-ლისში თავად სომეხი კომპო-ჩამოვა. მასთან ერთად საქართველოს დედაქალაქს ესტუმრებიან მუსიკოს-შემსრულებლები სომხეთიდან. მათ შორის, არტურ ავანესოვი (ფორტეპიანო), ანუშ ნიკოგოსიანი (ვიოლინო), ლევონ არაქელიანი (ჩელო), დირიჟორი რუბენ ასატ-

– კონტრაპუნქტი №5 ეძღვნება ვაჟა აზარაშვილისა და სომეხი კომპოზიტორის ტიგრან მანსურიანის შემოქმედებას, რომელსაც ქართველი მსმენელი სერგო ფარაჯანოვის ფილმებიდანაც იცნობს. მთლიანობაში ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია 3 კონცერტი, სადაც შესრულდება ორივე კომპოზიტორის კამერული და სიმფონიური თხზულებები, ასევე გაიმართება ნაწარმოებების თბილისური პრემიერა, – აცხადებენ მუსიკალურ ცენტრში

ფესტივალში სომეხი მუსიკოსების და მოწვეული სტუმრების გარდა, მონაწილეობენ ქართველი მუსიკოს-შემ სრულებლები თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო), სიმებიანი კვარტეტი: გიორგი ხაინდრავა, თამარ ბულია (ვიოლინო), ირაკლი ჯაფარიძე (ალტი), გიორგი ჯორჯაძე (ჩელო) და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ ตั้งส่วายกับ อกตักสุดตัด-

ფესტივალი 2007 წელს დაფუძნდა და უკვე მეხუთედ იმართება. პროგრამა განისაზღვრება ორი კომპოზიტორის (ქართველისა და უცხოელის) მიერ შექმნილი მუსიკის შესრულებით. განხორციელებული 4 ფესტივალის ფარგლებში შესრულდა ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა არაერთი ნაწარმოების პრემიერა.

— კონტრაპუნქტის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მსმენელი გაეცნოს ერთი და იმავე პერიოდში მოღვაწე, განსხვავებული ეროვნების ორი კომპოზიტორის სხვადასხვა ჟანრის შემოქმედებას, განმარტავენ ფესტივალის დამფუძნებლები.

რიგით მეხუთე ფესტივალი 20 აპრილს საზეიმოდ გაიხსნება. ფესტივალის კონვენციის ავტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველია.

### **ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘᲐ**

ეკა ირემაშვილი

ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში ფოტოგამოფენა "ჩერნობილი. 27 წლის შემდეგ" გაიხსნა. ექსპოზიცია ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა, უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვასილი ციბენკომ და დასავლეთ საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის ხელმძღვანელმა ჯამბულ ჯიქიამ გახსნეს. გამოფენაზე წარმოდგენილია ახალგაზრდა ფოტოგრაფის, ჩერნობილის გმირეპის სახანძრო უსაფრთხოების აკადემიის თანამშრომლის იგორ ბურლიას ფოტოები, რომელიც დღე-3งбდელ หิกูัศธิ์ คอก แบบ งับงิธงาง เลื่อง

– 26 აპრილს 27 წელი შესრულდება იმ ტრაგედიიდან, როელიც უკრაინაში მოხდა – ჩერ<sup>.</sup> ნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქება – რომლის შედეგადაც მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიფრქვა დიდი რაოდენობით რადიოაქტიური ნივთიერებები. ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაზარალდა 5 მილიონამდე ადამიანი, რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურდა 5 ათასზე მეტი დასახლებული პუნქტი ბელორუსში, უკრაინასა და რუსეთის ფედერა-ციაში. აქედან უკრაინაში 2218 დასახლება და ქალაქი, სადაც 2,4 მლნ ადამიანი ცხოვრობდა. ჩერ-ნობილის ავარიამ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში უპრეცედენტო ატომური დასხივება გამოიწვია. ამ კატასტროფის გავლენა საკუთარ თავზე გამოსცადეს ევროპულმა და შავიზღვისპირა ქვეყნებმაც, – განაცხადა გამოფენის გახსნაზე უკრაინაში საქართვე-

ლოს საგანგებო და სრულუფლე<sup>.</sup> ბიანმა ელჩმა ვასილი ციბენკომ.

ჩერნობილის გმირების სახანძრო უსაფრთხოების აკადემიის ინიციატივით, საქართველოში უკრაინელი პედაგოგების კავშირისა და დასავლეთ საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის მონაწილეობით, საქართველოში უკრაინის საელჩოსა და ეროვნულ არქივის ორგანიზებით წლეულს งอ ัดงัดกาย อีกาปการอาวา მატური ფოტოგამოფენა "ჩერნო-ბილი. 27 წლის შემდეგ..."

– ამ გამოფენაზე ძალიან საინტერესო ექსპოზიციებია წარმოდგენილი. არავის უნდა დაავიწყდეს ჩერნობილში მაშინ განვითარებული მოვლენები. ეს ღონისძიება 24 აპრილამდე გაგრძელდება. აპრილის ბოლოს კი ექსპოზიცია უკვე ქუთაისში იქნება წარმოდგენილი, – აღნიშნა ეროვნუარქივის ხელმძღვანელმა

საქართველოს ეროვნულ არქივს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის მოსწავლეები ეწვივნენ და გამო-ჩენილი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის შესახებ საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ მასალებს გაეცნენ.

– ევროპული სასწავლებლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა დაათვალიერეს დოკუმენტები აკაკი წერეთლის დაბადებისა და მოღვაწეობის შესახებ, მოისმინეს დოკუმენტების მიმოხილვა, რო-მელიც მათთვის საისტორიო არქივის თანამშრომლებთან ერთად სტაჟიორებმა სოფიო შარაშენიძემ და თამარ ხისფეხიშვილმა მოამზადეს. მოსწავლეთა განსაკუთ-რებული ყურადღება მწერლის ხელნაწერებმა მიიპყრო, – განმარ**გ**ა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲒᲔᲑᲘᲡ <u>ᲐᲞᲠᲘᲚᲘ</u> ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

აშშ დოლარი 1,6570

**19** 

ინგლისური გირვანქა სტერლინგი 2,5284

2,1798

100 რუსული რუბლი — 5,3055



# 23 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲦᲐᲜ

# "ᲐᲮᲐᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ'



ጋሐመንዊ

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

**8** 8 9 1 2

### "ᲐᲮᲐᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ" ᲔᲠᲗᲐᲦ

# "mhgymn Jsmonymn bms3mgón"

ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ!

ຓຓຓຉຠຌຓ **Ֆ**ՊՅՈԼ ფასი **ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ** ጋሐመაዊ 







# ჩეხური ზღაპრები

#### ყვეღამ გაითვაღისწინეთ! ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲐ

### **Մ**եՊ**Ե**հՊեհ 19 s3hnonborgnb


**33რძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კერო** - ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **აქშპები** – ნურავის ენდობით, მხოლოდ საკუთარ თავს. **ქირჩხიპი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ᲚᲝმᲘ** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **ქბ⊏ნშ⊏Ո** – სახლში დიდი სიხარული გელო დებათ. სპსნႤᲠᲘ — თქვენი საქმე კარგად მიდის, სიხარული გელოდებათ. **ᲚᲠᲘპᲜᲥპᲚᲘ** — პრობლემას ადვილად გადაჭრით, მთავარია, მოინდომოთ. **მშ3ᲘᲚᲦᲝᲡᲐᲜᲘ** – დღეს თავს საუკეთესო დაჯილდოვდებით. **მერნყული** – თავს კრიტიკულად თუ არ იქნება, როგორც გეგმავდით. გისუჩვებთ ბეჹნიეჩ ჹღეს!

#### **შვეულად: 1**. გურამ ფან-ჯიკიძის რომანი; 2. ტბა აშშ-ში;

3. აფრიკის უდაბნოდან მონაბერი ცხელი ქარი; 4. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 5. იარაღის საწყობის, არსენალის ძველი ქართულ სახელწოდება; 8. კორიდის მთავარი მონაწილე; 12. ფრანგულ საავტომობილო ფირმა; 13. შტატი აშშ-ში; 14. ძალზე მტკიცე მინერალი; 16. ღრმა, ვიწრო ხეობა; 18. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 20. მდინარე თბილისში.

თარაზულად: 6. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 7. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 8. იმრე კალმანის ოპერეტა; 9. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 10. უფილტრო სიგარეტი; 11. მცირე ამპლიტუდის რხევები; 15. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქარ თული ჯიში; 17. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 19 სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 21. მოსავლის ამღები კომ ბაინის წინა სამკელი ნაწილი; 22. კანონებში არსებული წინააღ მდეგობა; 23. ფრანგული იავნანა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



### ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡ ᲒᲐᲦᲐᲔᲪᲐ

ეკა ირემაშვილი 3

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის არქივის პირველი ნაწილი საქართველოს თეატრის, მუსიკის კინოსა და ქორეოგ-

რაფიის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა.

არქივი შედგება დიდი მსახიობის შემოქმედებისა და ცხოვრების ამსახველი ფოტოებისგან, აგრეთვე სპექტაკლე-ბის აფიშისა და მისდამი მიძღვნილი ნოდარ გურაბანიძის წიგნისგან "ფანტასტიკური რამაზ ჩხიკ-ვაძე". მუზეუმს მსახიობის მემკვიდრეებმა ასევე გადასცეს დისკი სახელწოდებით "მე შენ გიმღერი,

ლამაზო", რომელშიც შესულია რამაზ ჩხიკვაძის სიმლერები სპექტაკლებიდან და კინოფილ-

რამაზ ჩხიკვაძის ბიუსტი ხელოვნების სასახლეში მის დაბადების დღეზე 28 თებერვალს საზეიმოდ გაიხსნა. ბიუსტის გახსნა მსახიობის **85** წლის იუბილეს დაემთხვა. რამაზ ჩხიკვაძის ბიუსტი, ცნობილი მოქანდაკის გურამ პაპინაშვილის მიერ არის შესრულებული. ბიუსტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ბატონმა გურამ ოდიშარიამ და ხელოვნების სასახლის დირექ-

ტორმა გიორგი კალანდიამ გახსნეს. ლონისძიებას უამრავი სტუმარი დაესწრო, მათ შორის "ჩოხოსნები", ბატონი რამაზ ჩხიკვაძის მეგობრები და მისი ოჯახის წევრები. ალექსანდრე ჩხიკვაძემ ჯერ კიდევ მაშინ სა-განგებოდ აღინიშნა, რომ უახლოეს მომავალში დიდი მსახიობის პირადი არქივი საქართვე-

ლოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო შუზეუმს გადაეცემოდა და პირობაც შეასრულა.

ღონისძიების დასასრულს ხელოვნების სასახლეში დავით ოქიტაშვილმა და გიორ-

გი მარგველაშვილმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც, სტუდენტებისათვის რამაზ ჩხიკვაძის სახელობის სტიპენდია დაწესდა. რამაზ ჩხიკვაძე ორი წლის წინ 83 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ამჟამად საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში უნიკალური გამოფენა "დადიანები თბილის-

ში" მიმდინარეობს. კომპანია თელიანი ველისა და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის დახმარებით დადიანების საგანძურმა ერთი თვით ზუგდიდის სასახლე დატოვა და თბილისში, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გადმოინაცვლა. გამოფე-ნის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ხელოვნების სასახლეში საგანძურის ისეთი ძვირფასი ექსპონატები გამოიფინა, როგორიცაა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე დადიანის პირადი ნივთები, საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორთა ძვირფასი ტილოები, ნიკოლოზ ბარათაშვილის კუთვნილი ღვი-ნის სასმისი, ვერსალსა და ლუვრში დამზადებული სხვადასხვა სახის ჭურჭელი, პირველი ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის ჭადრაკი და რუსეთის იმპერატორის ოქროს ალბომი. საფრანგეთის იმპერიის მარშალის, პრინც იოაჰიმ მიურატისა და ნაპოლეონ მესამის ადიუტანტის პრინც აშილ მიურატის პი-რადი ნივთები, მათი დღემდე გამოუქვეყნებელი ფოტოები. ცნო-ბილი ფრანგი მხატვრის პიერ ბლანშარის, ჟაკ-ლუი დავიდის, ლადიურნერის ტილოები, კავკასიური ხედები და კავკასიური ტიპაჟების პორტრეტები.

მსგავსი მასშტაბის გა მოფენა ზუგდიდის დადიანების გაგრძელება მე-10 გვერდზე

### ᲠᲔᲐᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲦᲘᲦᲐᲠᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲐ



მას შემდეგ რაც ჟურნალმა "ფორბსი" (2004 წლიდან) მსოფლიოს უმდიდრესი კლუბების სიის გამოქვეყნება დაიწყო, პირველობას ვერავინ ართმევდა "მანჩესტერ იუნაიტედს". თუმცა, მისი ჰეგემონია წელს მადრიდის "რეალმა" დაამხო. ეს გასაკვირიც არ არის — 2011-12 წლების სეზონში "სამეფო კლუბის" მოგებამ 650 მილიონი დოლარი შეადგინა.

სადღეისოდ, მადრიდული კლუბი ,ფორბსს" <mark>2.532.000</mark> ევროდ ჰყავს შეფა სებული, ხოლო "მანჩესტერი" მასზე 103 მილიონი ევროთი იაფი ღირს.

მე-3 ადგილზეა "ბარსელონა" – კატალონიური გრანდის ფასი თითქმის 2

გაგრძელება მე-9 გვერდზე

### ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲒᲣᲠᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲒᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲒᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ

3 ეკა ირემაშვილი

ქართველი რეჟისორის თინათინ გურ-ჩიანის გახმაურებული ფილმი "მანქანა", რომელიც ყველაფერს გააქრობს" კიდევ ერთი ფეს ტივალის გამარჯვებუ-ლია. სანდენსის კინოფესტივალის დაპყრობის შემდეგ, მისმა დოკუმენტურმა ფილმმა გამარჯვება ამ-ჯერად ბრაზილიის საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა. ქართულ მა ფილმმა მთავარი პრიზი დოკუმენტური ფილმის

სექციაში აიღო. თინათინ გურჩიანის "მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქ-

რობს" თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო ქართულ ფილმად აღიარეს. ფილმს კინომცოდნეებმა და კრიტიკოსებმა დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს, რომელიც ეტაპობრივად ხდება. ამჟამად ფილმის შეფასება ქართველ მაყურებელსაც შეუძლია. 11 აპრილიდან "მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს", თბილისის კინოთეატრებში გადის.

ფილმის ქართულ პრემიერამდე მისი

დახურული ჩვენება საქართველოს კულტუ-რისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზშიც გაიმართა. კინოჩვენებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა

დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, ფილმის რეჟი რი თინათინ გურჩიანი, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, რეჟისორები, მსახიობები, პროდიუსერები, კინოკრიტიკოსები და მიწვეული სტუმრები. ქართველი რეჟისო-

რის თინათინ გურჩიანის დოკუმენტურმა ფილმმა სანდენსის კინოფესტივალზე წელს გამარჯვება მოიპო-

ვა. კინოფილმმა "მანქანა, რომელიც ყველა-ფერს გააქრობს" პირველი ადგილი აიღო საერთაშორისო დოკუმენტური ფილმის რეჟისურისათვის.

ფილმის გადაღება განხორციელდა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტისა და რობერტ ბოშის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო ფილმის რეჟისორი და პროდიუსერი სანდენსის კინოფესტივალზე საქარ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე